ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 ივნისი **შაბათი** 2013
№ 127 (14 043) ფასი 80 თეთრი

603/2 N 17096
208



## აღარ ნავაგოთ ირლანდიასთან! რეპორტაჟი იქნება

ხვალ, დუბლინში 20:30

3

# მადლობა, კახა!



8-9

ლელოს სტუმარი გიორგიოს კეცელიდისი

**მწვრთნელი იმისთვისაა, თითოეული შეგირდის მენტალიტეტი შეიცნოს**



13

# გადაწყდა ფალკაო მონაკოში!

## კონტრაქტი 5-წლიანია, ფასი საიდუმლო

„მონაკოში" რადამელ ფალკაოს გადასვლის შესახებ წუხელ თავად სამთავროს კლუბის მილიარდელმა მეპატრონე **დმიტრი რიბოლოვლევმა** გამოაცხადა.

*„ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ფორვარდმა რადამელ ფალკაომ „მონაკოსთან" მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ კოლუმბიელი ჩვენთან გადმოვიდა, ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია",* - წერს რიბოლოვლევი „მონაკოს" ოფიციალურ საიტზე.

26 წლის კოლუმბიელმა, რომელსაც „ელ ტიგრეს" (ვეფხვი) ეძახიან, ახალ კლუბთან 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო სატრანსფერო თანხა არ გამოუცხადებიათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






12

## ცინცაძე უკრაინის ჩემპიონია

● ს 19. ელიტრაუნდის შემდეგ. ინტერვიუ გია ცეცაძესთან

# გია ცეცაძის მიზანი ევროფინალის სამეულია

## ფეხბურთში მეორეხარისხოვანი ერი არ ვართ

გია ცეცაძემ პირველად გორის "დილაში" გაიბრწყინა. მანამდე კი რუსთავის "ოლიმპისა" და ბოლნისის "სიონის" დუბლშემადგენლობის მწვრთნელად დანიშნულს, გიორგი დევდარიანის ასისტენტად უფრო იცნობდნენ.

იმ "დილაში", რომელიც შსს-მდე ჩაიბარა და გუნდი ისე ლამაზად აათამაშა, ფეხბურთის გურმანები მიიზიდა. "დილა" ავანტიურისტულ ფეხბურთს აჩვენებდა, დაცვაში მოუხედავად უტევდა და ამის გამო, გუნდი აუტსაიდერებში მოხვდა. მაგრამ ცხადად ჩანდა – ცეცაძე სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა, გუნდს აყალიბებდა და ცოტა რომ დაეცალიათ, ჩვენი დროის "მრეტებს", "თბილისსა" და "ამერს" ვიხილავდით.

19-წლამდელთა ნაკრებში მისი დანიშვნა ჯერ კიდევ შარშან სურდათ, როდესაც გიორგი დევდარიანმა თბილისის "დინამოში" მუშაობა გადაწყვიტა. ცეცაძე ხომ მანამდე ასაკობრივ ნაკრებებში მისი ასისტენტი იყო. მაგრამ ვერ გარისკეს.

ახლაც იგივე ვითარება განმეორდა: კახა კაჭარავა "ზესტაფონში" მიიწვიეს და ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდ დარჩა. ფედერაციამ ამჯერად გარისკა და ამ გადაწყვეტილების მიმღებ-ხელშემწყობნი მალე შამპანურს დამსახურებულად შესვამენ – ცეცაძის დარიგებულმა 19-წლამდელთა ნაკრებმა ბელგიაში გამართულ ელიტ რაუნდზე უდიდეს სენსაციას გვაზიარა, ინგლისთან 1:1 ითამაშა, შოტლანდიას 9 კაცით 3:1 მოუგო, მასპინძელ ბელგიას - 2:0 და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

ტრიუმფატორი გუნდის მთავარი მწვრთნელი დღეს "ლელოს" კითხვებს პასუხობს.

**- მუდამ იმეორებდით, რომ ქართულ ფეხბურთს დიდი პოტენციალი აქვს. მაგრამ ჩვენში გაბატონებულია აზრი, რომ არაფერიც არ შეგვიძლია. ასეთ ნიჰილისტურ გარემოში გუნდის წარმატებისთვის მომართვა ძალიან ძნელი იქნებოდა.**

- ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი, რადგან ყველა არ წუწუნებს და ასე არ ფიქრობს. ჩვენ ბელგიაში წარმატებას მხოლოდ ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე არ მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ამით იწყება. მაგრამ უპირველესად, ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა აზრიანი თამაშით შევძელით. რა თქმა უნდა, იდეალურად არ ვთამაშობდით, ხარვეზებიც მრავლად არის და ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ბიჭებმა დავალებები 50 პროცენტამდე შეასრულეს და ეს მაიმედებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე უკეთეს ფეხბურთს ვაჩვენებთ.

**- თქვენ შემტევი ფეხბურთი გიყვართ – ძლიერ მეტოქეებთან ასეთი თამაში მოახერხეთ?**

- აქცენტი სწორედ შეტევაზე გვქონდა გადატანილი. მაგრამ სწორად დაცვასაც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ვამბობდით, რომ შეტევისას ყველა მცველი თავდამსხმელი უნდა ყოფილიყო, დაცვისას კი – ყველა თავდამსხმელი მცველებს დახმარებოდა. შოტლანდიასთან შეხვედრის ჩანაწერს რომ ვუყურე, გაოცებული დავრჩი, 9 კაცითაც რომ დავრჩით, თავდამსხმელები მაშინაც გონივრულად და სწორად მოქმედებდნენ. ფეხბურთში ყველაზე მეტად დროისა და სივრცის ათვისება ფასობს და ბიჭები ამას კარგად ახერხებდნენ. ასევე იყო ინგლისთანაც, მეტოქეც კაცი კი გაუგდეს, მაგრამ ძალიან გონივრულად და მწვავედ მოქმედებდა. ჩვენმა ბიჭებმა მეორე ნახევარში ნამდვილი შტურმი მოუწყვეს და უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. რაც მთავარია, გვჯეროდა, რომ ჩვენი თავდადება, საქმის სიყვარული და ღმერთზე მინდობა შედეგს მოგვიტანდა.

**- შემტევი სტილი ყოველთვის რომ არ ამართლებს?**

- არ ამართლებს მაშინ, თუ არასწორად თამაშობ. მწვრთნელობა 2000 წელს სკა-ზე კოტე ჯალიაშვილმა დამაწყებინა. მას შემდეგ მიმუშავია თემურ ფოცხვერიასთან, გიორგი დევდარიანთან, გელა სანაიასთან. ეს ხალხი, პლუს გეგუჩაძე, ჭიაბრიშვილი ლალი ფეხბურთის მიმდევრები არიან. მათგან ბევრი ვისწავლე და დღემდე ვსწავლობ და ერთს მივხვდი: საქართველოში იგივე სინდრომია, რაც ფეხბურთელებთან მიმართებაში – რატომღაც, ჩვენებს უცოდინრებად თვლიან. ეს "მეორე ნომრის" სინდრომია, რომელიც მალე უნდა მოვიშოროთ. არადა, საუკეთესო მწვრთნელები გვყავს და არ ვაფასებთ.

ფეხბურთში ყველას შემქმნელი და შემტევი გუნდები და მოთამაშეები მოგვწონს. ბავშვობიდან მიყვარდა თბილისის "დინამო", ჰოლანდიის ნაკრები და "ბარსელონა", რადგან მათი ლალი თამაში სიამოვნებას მანიჭებდა. ქართული გუნდები ყველაზე წარმატებულ პერიოდებში შემტევ სტილში თამაშობდნენ – ასე იყო ბორის პაიჭაძიდან დაწყებული, 13 მაისის თაობით დასრულებული. მართალია, ცხადაძე-არველაძე-ნემსაძე-ჯამარაულის თაობას წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ისინიც ლამაზ ფეხბურთს აჩვენებდნენ.

ჩვენი ცეკვები - ხორუმი, აჭარული, მთიულური - სულ შეტევაა და შეუძლებელია ფეხბურთში ეს არ გაითვალისწინო, რადგან ჩვენი შემოქმედება ქართულ ხასიათს ასახავს. ამიტომ, ქართული



გია ცეცაძე

ფეხბურთის სტილზე ფიქრის დროს წარსული, ისტორია და ჩვენი ხალხის ხასიათი უნდა გავაანალიზოთ და გავითვალისწინოთ. ქართველს გერმანელის ნებისყოფა და "ფიზიკა" არ აქვს, დაცვაში ჩამჯდარმა ხანგრძლივ შეტევებს რომ გაუძლოს, ჩვენი სტიქია შეტევაა.

**- ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ბავშვების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საკუთარი ძალების არდაჯერებაა. ამ კუთხით ბევრი იმუშავეთ?**

- ბიჭებს მართლაც ბევრს ველაპარაკებოდი, მაგრამ მათაც ჰქონდათ ასეთი იმედი და განცდა. საერთოდ, ლოგიკურიც არის, საკუთარი ძალების რომ არ გვჯერა, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართულ ფეხბურთს საკლუბო და სანაკრებო დონეზე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია - ფეხბურთელებში ფსიქოლოგიური ჩავარდნა ამან გამოიწვია. ახლა საქართველოში ფეხბურთი მცირე ტემპით ვითარდება და შედეგები გვჭირდება, ნიჭიერმა ბავშვებმა ახლა და შემდგომ რომ ირწმუნონ - ქართველები ფეხბურთში დილეტანტები არ ვართ.

საკმარისი არაა მარტო კარგი თამაში, მთავარი შედეგია და ის უკვე გვაქვს – ზედიზედ ორი წელიწადია, საქართველოს ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავდივართ. ეს მომავალ თაობებს უფრო თავდაჯერებულს გახდის. ამიტომ მიმაჩნია, რომ ვასიკო მაისურაძის და ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებმა ახლა უბრალოდ წარმატებებს კი არ მიაღწიეს, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ღონიერი ნაბიჯები გადადგეს. შემდგომი თაობები იფიქრებენ, ინგლისს, ესპანეთს, გერმანიას, იტალიას და საფრანგეთს ადრე თუ მოვუგეთ, ახლა რატომ არის შეუძლებელიო.

ისეც არ გაიგოთ, რომ ევროფინალში გასვლით რეალობის აღქმის უნარი წამერთვა. ვიმეორებ, ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ შედეგიდან გამომდინარე, ტენდენციები და ქართული ფეხბურთის პოტენციალი გამოჩნდა – ჩვენ მართლა ბევრი შეგვიძლია.

**- ბელგიაში შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ რომ დაგიკავშირდით, ბრძანეთ, ევროპის ჩემპიონატზე სამეულში მოხვედრის ამბიცია მაქვსო - ამის მართლაც გჯერათ?**

- რომ არ მჯეროდეს, ნაკრებში მუშაობას აზრი არ ექნებოდა. დარწმუნებული ვარ, ჯგუფიდან გასვლა რეალურია.

**- ევროპის ჩემპიონატი 20 ივლისს დაიწყება. მოსამზადებლად არც ისე დიდი დრო გაქვთ.**

- სხვათა შორის, ფეხბურთის ფედერაციას ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი გეგმის მონახაზი ნაკრებში დანიშვნის დროს წარვუდგინე. შესაძლოა, ეს მაშინ ვილაცებისთვის სასაცილოდ ჟღერდა, მაგრამ ასე იყო. ლოგიკურიც არის – სახლს რომ აშენებ, გადახურვაზე ფიქრობ.

**- ახლა ფედერაციას ფინანსურად არ ულხინს და სრულყოფილი შეკრებისთვის საჭირო ფინანსები მოიძებნება?**

- დარწმუნებული ვარ, არანაირი პრობლემა არ შეგვექმნება. განსაკუთრებულიც არაფერი გვჭირდება, მარსზე გაფრენას კი არ ვაპირებთ, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ნორმალურ გარემოში უნდა ვივარჯიშოთ.

**- თქვენი შეკრება სეზონისწინა მომზადებას ემთხვევა და კლუბები მოთამაშეებს გამოუშვებენ?**

- მსგავსი პრობლემა ადრეც არ გვქონია და დარწმუნებული ვარ, ახლაც არაფერი მოხდება. თავიდან ბავშვები კლუბებში მოემზადებიან, ევროფინალის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უცხოურ შეკრებაზე გავემგზავრებით, ლიტვაში კი - პირველ მატჩამდე 4-5 დღით ადრე.

**- როდესაც მსაჯის სასტვენი გაისმა და ევროფინალში გავედით, იმ წამს რაზე ფიქრობდით?**

- გულწრფელად გეტყვით – ვფიქრობდი, როგორ გავახარეთ ჩვენი ხალხი და რამხელა სიამოვნება მივანიჭეთ. ნაკრები ამ სულისკვეთებით ემზადებოდა და ამაში ბიჭებიც ამყვნენ. ქართველებმა უნდა დავამტკიცოთ, რომ ფეხბურთში მეორეხარისხოვანი ერი არ ვართ და რომ დაკუნთულ და ბევრად უკეთეს პირობებში გაზრდილ ევროპელებზე ნაკლებად არ ვთამაშობთ. ასეც მოხდა, ბიჭებმა ინგლისელებს, შოტლანდიელებსა და ბელგიელებს ბურთი თავზე "დაახიეს". ბელგიასთან ორივე გოლი ინდივიდუალური ოსტატობით გავიტანეთ. ჩვენი დიდი პლუსი, გუნდურ თამაშთან ერთად, ინდივიდუალიზმია. ბავშვები სწორედ ამ თვისებების გაუმჯობესებაზე უნდა ვავარჯიშოთ, მომავალში ბევრად უკეთეს შედეგებს რომ მივაღწიოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ჩვენ და ირლანდიელები

**საქართველოს** ნაკრების სტატისტიკას თუ გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ ყველაზე წარუმატებელი თვე ივნისია! თანაც, არა აქვს მნიშვნელობა, ზაფხულის პირველ თვეში ჩატარებული ესა თუ ის მატჩი ამხანაგური იყო თუ ოფიციალური - ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა დანარჩენი შეხვედრა ჩვენი ნაკრების წაგებით მთავრდებოდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ მომქანცველი საკლუბო სეზონის შემდეგ, როცა ფეხბურთელებს ერთი სული აქვთ ხანმოკლე შვებულებით ისარგებლონ და დაისვენონ, ივნისში დაგეგმილ სანაკრებო მატჩებს, ცოტა არ იყოს, ნაკლები მოტივაციითა და, რაც მთავარია, გადაღლილი ხვდებოდნენ. მართლაც შორს წაგვიყვანს ჩვენთვის წარუმატებელი იმ მატჩების ჩამოთვლა, ივნისის დასაწყისში რომ ჩატარებულა; თანაც, თითქმის ყველა შემთხვევაში, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელები ერთი და იგივე პრობლემას აწყდებოდნენ: ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერაფრით ხერხდებოდა ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება; ჰო, ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც: ირლანდიელებთან ამხანაგური მატჩის წინ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მოიისაკლისა. არადა, რომელი დიდი არჩევანი ჩვენა გვაქვს და ასეთ პირობებში 4-5 ფეხბურთელის არყოფნა ნამდვილად ვერ არის კარგი საქმე; თუმცა, ვინ იცის: იქნებ სწორედ ხვალ დავარღვიოთ „ტრადიცია" და ხანგრძლივი საკლუბო სეზონის მერე ჩატარებულ პირველსავე მატჩში წარმატებას მივაღწიოთ; თანაც, ხომ შეიძლება ნავსიც გავტეხოთ და ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს ქულები ... პირველად ავართვათ!



ზურაბ ხიზანიშვილი (№13) დემიენ დაფის წინააღმდეგ

# ნავსიანი ივნისი

## უხერხული მეტოქე

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია: თანამედროვე ფეხბურთში მართლაც თითზე ჩამოსათვლელია ისეთი მეტოქეები, რომლებთანაც ჩვენს ნაკრებს დადებითი ბალანსი გააჩნია. გამონაკლისი არც ხვალინდელი მოწინააღმდეგეა: სანაკრებო დონეზე საქართველო და ირლანდია ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხჯერვე ირლანდიელებმა იმარჯვეს!

...ირლანდია არასდროს განეკუთვნებოდა ევროპული ფეხბურთის გრანდებს და ამ ქვეყნის ნაკრებს არც რაიმე წარმატებისთვის მიუღწევია; თავად განსაჯეთ: გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ირლანდიის ნაკრები ვერაფრით ახერხებდა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გასვლას. არადა, არაერთი ირლანდიელი ფეხბურთელი წლების განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა წამყვან ინგლისურ კლუბებში. **ლაიამ ბრეიდი, პეტ ბონერი, ფრენკ სტეპლტონი, დევიდ ოლირი, მარკ ლოურენსონი, რონი უილანი,** - ჯერ ეს თაობა გამოირჩეოდა; მოგვიანებით კი ირლანდიურ ფეხბურთში არანაკლები დონის მოთამაშეებიც გამოჩნდნენ: **სტივ სტაუნტონი, ტონი კასკარინო, ნილ ქუინი, პოლ მაკგრატი, რეი ჰოუტონი, ენდი ტაუნსენდი, ჯონ ოლდრიჯი,** და, რაღა თქმა უნდა, **როი კინი!** სწორედ ამ თაობამ შეძლო და ირლანდიური ფეხბურთის ისტორიაში პირველ წარმატებას მიაღწია: წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის **ჯეკი ჩარლტონის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე ირლანდიის ნაკრებმა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა! ორი წლის მერე კი ირლანდიელები ასევე პირველად გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და მსგავსი მიღწევა ჰქონდათ 1994 წლის მუნდიალზეც. მსოფლიოს ჩემპიონატზე ირლანდიელებმა კიდევ ერთხელ იასპარეზეს - 2002 წელს კორეა-იაპონიის მუნდიალის საგზური გუნდმა წარსულში ცნობილი ირლანდიელი ფეხბურთელის **მიკ მაკარტის** ხელმძღვანელობით მოიპოვა. თუმცა მუნდიალის დაწყებამდე გუნდში სერიოზული სკანდალი მოხდა: კაპიტანმა და უპირობო ლიდერმა როი კინმა მწვრთნელთან კონფლიქტის გამო ნაკრები მიატოვა...

ამის მერე ირლანდიურ ფეხბურთში გარკვეული პერიოდი ჩავარდნის პერიოდი დადგა; თუმცა 90-იანი წლების ბოლოს მაინც გამოჩნდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები და სამი მათგანი დღესაც აგრძელებს თავის მართლაც შთამბეჭდავ კარიერას: მეკარე **შეი გივენი,** ნახევარმცველი **დემიენ დაფი** და ფორვარდი **რობი კინი,** სოლიდური ასაკის მიუხედავად, თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ გამორჩეულ მოთამაშეებად.

## დონ ტრაპი

...2008 წლიდან ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად სახელგანთქმული იტალიელი სპეციალისტი **ჯოვანი ტრაპატონი** დაინიშნა. ტრაპატონი-ფეხბურთელის მთელი კარიერა „მილანთან" იყო დაკავშირებული და ამ გუნდის შემადგენლობაში ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, ორჯერ იტალიის ჩემპიონი გახდა, თითო-თითოჯერ კი საკონტინენტთაშორისო თასი, უეფას თასი და იტალიის თასი მოიპოვა. თუმცა, ბევრად უფრო შთამბეჭდავი გამოდგა მისი სამწვრთნელო კარიერა და ამ მართლაც უნიკალური მწვრთნელის ტიტულების ჩამოთვლაც ამის დასტური იქნება! ტრაპატონი ერთადერთი მწვრთნელია მსოფლიოში, რომელსაც ჩემპიონთა თასი, თასების თასი, უეფას თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოუგია! სხვადასხვა დროს გახდა გერმანიის („ბაიერნი"), პორტუგალიის („ბენფიკა") და ავსტრიის („ზალცბურგი") ჩემპიონი; თუმცა სამშობლოში მოღვაწეობისას ბევრად უფრო მეტი ტიტული აქვს მოპოვებული: ექვსჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ორჯერ იტალიის თასს დაეუფლა, თითო-თითოჯერ გახდა ჩემპიონთა თასის, თასების თასისა და საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული, სამჯერ კი უეფას თასი მოიგო! 2000-2004 წლებში ტრაპატონი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, თუმცა მისი ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურამ" ვერაფერი მოიგო; ან კიდევ, როგორ უნდა მოეგო, როცა 2002 წლის მუნდიალზე ეკვადორელმა მსაჯმა **ბაირონ მორენომ** ყველაფერი გააკეთა, რომ მეოთხედფინალში იტალიის ნაცვლად კორეა გასულიყო...

...არანაკლებ კი არა, ალბათ უფრო „მასშტაბურ" უსამართლობას წააწყდა ტრაპატონი ირლანდიის ნაკრებში მოღვაწეობის დროსაც: მთელმა მსოფლიომ დაინახა, როცა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პლეი ოფის შეხვედრაში **ტიერი ანრიმ** ხელით გაისწორა ბურთი და ისე გაუკეთა საგოლე პასი **ვილიამ გალასს** (რომელიც აშკარა თამაშგარეში იმყოფებოდა); ამ გოლით კი საფრანგეთმა 2010 წლის მუნდიალის საგზური მოიპოვა, ირლანდია კი - განზე დარჩა. თუმცა ტრაპატონიმ მაინც შეძლო და 2012 წელს ირლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. ტრაპატონი 74 წლის გახლავთ და თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ხვალ მეხუთედ უნდა დაუპირისპირდეს საქართველოს ნაკრებს! აქედან ორჯერ - როგორც იტალიის ნაკრების მწვრთნელი, ხვალ კი მესამედ - ირლანდიელთა დამრიგებლის რანგში. ის ოთხივე მატჩი „დონ ტრაპს" მოგებული აქვს, ვნახოთ, ხვალ რა იქნება...



ჯოვანი ტრაპატონი

## ოთხი მარცხი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირლანდიელებთან ოთხივე მატჩი წაგებული გვაქვს და ეს ოთხივე ოფიციალური იყო. პირველი დაპირისპირება 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მოხდა: **ალექსანდრე ჩივაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა ციკლი შვეიცარიასთან წაგებით (1:4) დაიწყო; მომდევნო მატჩი კი თბილისში ირლანდიელებთან გვიწევდა და ალექსანდრე ჩივაძემ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები შეიტანა: ძირითადში გამოჩნდნენ **გიორგი ლომაია, ოთარ ხიზანეიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, თემურ ქეცბაია** და **ალექსანდრე იაშვილი**. სამწუხაროდ, ის მატჩი წავაგეთ, მაგრამ ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს ალბათ დღემდე ეხსომება თუ როგორი ეფექტური გოლი გაიტანა **შეი გივენის** კარში **ლევან კობიაშვილმა**. 2003 წლის 29 მარტს ჩატარებული ის შეხვედრა იმითაც დაგვამახსოვრდა, რომ, როგორც მერე გაირკვა, ეს ყოფილა **თემურ ქეცბაიას** უკანასკნელი შეხვედრა საქართველოს ნაკრებში...

იმ ციკლის მეორე მატჩში ჩვენს ნაკრებს **ივო შუშაკი** მოძღვრავდა, თუმცა წინა შეხვედრაში რუსეთთან გამარჯვების ერთ-ერთმა მთავარმა შემოქმედმა საქართველოს ნაკრებში თავის მეორე და ბოლო მატჩში მარცხი განიცადა.

მესამე დაპირისპირება... გერმანულ მაინცში ჩატარდა: 2008 წლის შემოდგომაზე ირლანდიელები უარს ამბობდნენ თბილისში ჩამოსვლაზე (იმავე წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებები გამო) და უეფამაც ნეიტრალურ მოედანზე თამაშის განკარგულება გასცა. ეს იყო **ჰექტორ კუპერის** მეორე მატჩი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და არ დავმალავთ, ყველანი იმედიანად ვიყავით განწყობილნი ამ არგენტინელი სპეციალისტის მომავალ საქმიანობასთან. მით უფრო, რომ სადებიუტო მატჩი (სტუმრად, უელსთან) მოგებებით აღნიშნა, თანაც, ირლანდიასთან შეხვედრაში ჩვენს ნაკრებს **კახა კალაძე** და **ლევან კობიაშვილი** დაუბრუნდნენ; თუმცა, კუპერმა რამდენიმე უცნაური საკადრო გადაწყვეტილება მიიღო და, უპირველეს ყოვლისა, **მალხაზ ასათიანის** სათადარიგოთა სკამზე გამწესებას ვგულისხმობთ. იმ მატჩში ბევრი სხვა „უცნაურობაც" მოხდა: ჩვენმა მეკარემ **გიორგი ლორიამ** მართალია, კურიოზული გოლი (**ველანი**) გაუშვა, მაგრამ, სულ მცირე, სამ-ოთხ შემთხვევაში გადაგვარჩინა. ეს იყო 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი შეხვედრა და ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ მაინცში ჩატარებული შეხვედრიდან დაიწყებოდა საქართველოს ნაკრების ის მართლაც კოშმარული, 15 მატჩიანი მოუგებელი სერია...

**გია ტუხაშვილი**

### ყველა დაპირისპირება

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო – ირლანდია 1:2**

29.03.2003. თბილისი. „მიხეილ მესხი". 20000 მაყურებელი

**0:1 დაფი (18), 1:1 კობიაშვილი (61), 1:2 დოჰერტი (85)**

საქართველო: ლომაია - ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია (46. დემეტრაძე) - ქინქლაძე (71. დიდავა) - შ. არველაძე

მთავარი მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

ირლანდია: გივენი, კარი, კანინგემი, ბრინი, ო'ში, ჰოლანდი, დაფი, კინსელა, კარსლი, დოჰერტი, კილბეინი

მთავარი მწვრთნელი: ბრაიან კერი

გაფრთხილება: ხიზანეიშვილი; დოჰერტი

არბიტრი: კ. ვასარასი (საბერძნეთი)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**ირლანდია – საქართველო 2:0**

11.06.2003. დუბლინი. „ლენსდაუნ როუდი". 35000 მაყურებელი

**1:0 დოჰერტი (43), 2:0 კინი (59)**

ირლანდია: გივენი, კარი, კანინგემი, ბრინი, ო'ში, ჰოლანდი, ჰელი (86. კინსელა), კილბეინი, კარსლი, დოჰერტი (88. ლი), რობი კინი

მთავარი მწვრთნელი: ბრაიან კერი

საქართველო: ლომაია - ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, კალაძე - დიდავა (76. ალექსიძე), რეხვიაშვილი - ბურდული, ასათიანი, დემეტრაძე (59. ვ. დარასელია) - შ. არველაძე

მთავარი მწვრთნელი: ივო შუშაკი

კაპიტანი: კახა კალაძე

გაფრთხილება: ხიზანეიშვილი

არბიტრი: ე. გონსალესი (ესპანეთი)

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო – ირლანდია 1:2**

06.09.2008. მაინცი. „ბრუხვეგშტადიონი". 14000 მაყურებელი

**0:1 დოილი (13), 0:2 ველანი (70), 1:2 ყენია (90)**

საქართველო: ლორია - უ. ლობჟანიძე, ხიზანიშვილი (83. ასათიანი), კალაძე, შაშიაშვილი - ოდიკაძე, მენთეშაშვილი, კობიაშვილი - ყენია, იაშვილი (77. მჭედლიძე) - ალექსიძე (61. სირაძე)

მთავარი მწვრთნელი: ჰექტორ კუპერი

კაპიტანი: კახა კალაძე

ირლანდია: გივენი, ფინანი (80. მაკშეინი), ოში, დანი, კილბეინი, მაკგიდი (87. კოგი), ველანი, რიდი, ჰანტი, რობი კინი, დოილი (77. მილერი)

მთავარი მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, ალექსიძე

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**ირლანდია – საქართველო 2:1**

11.02.2009. დუბლინი. „კროკ პარკი". 45000 მაყურებელი

**0:1 იაშვილი (1), 1:1 რობი კინი (73, პენალტით), 2:1 რობი კინი (78)**

ირლანდია: გივენი, კელი, ო'ში, დანი, კილბეინი, მაკგიდი, ველანი, ენდრიუსი, დაფი (80. ჰანტი), რობი კინი, დოილი

მთავარი მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

საქართველო: ლომაია - უ. ლობჟანიძე, ხიზანიშვილ, კალაძე, კვირკველია - მენთეშაშვილი (70. ხმალაძე), რაზმაძე, კობიაშვილი - ბ. გოცირიძე (68. მერებაშვილი), იაშვილი - სირაძე (77. ალექსიძე)

მთავარი მწვრთნელი: ჰექტორ კუპერი

კაპიტანი: კახა კალაძე

გაფრთხილება: ენდრიუსი; მენთეშაშვილი, ლობჟანიძე, კვირკველია, კობიაშვილი, ხიზანიშვილი

არბიტრი: ი. ჰიიტია (ფინეთი)



● ეროვნული ნაკრები

02.06. დუბლინი. ავივა 20:30

ირლანდია–საქართველო

# დანაკლისი არ არის, რეპორტაჟი იქნება

**ირლანდიაში** მყოფი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და 2 ივნისის ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, ჩვენი გუნდის ვარჯიშებს ირლანდიის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ქართველი გულშემატკივრები ესწრებიან, ირლანდიასთან ამხანაგური შეხვედრისას ჩვენს ნაკრებს რამდენიმე ასეული ქართველი ქომაგი გაამხნევებს.

ვარჯიშის შემდეგ, სფფ-ის ვებგვერდთან კომენტარები გააკეთეს ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებმა.

**ზურაბ ხიზანიშვილი**: *„ჩვეულებრივი მოლოდინი გვაქვს. ამხანაგური თამაში კია, მაგრამ ვიცით, ჩვენი მეტოქე რა ძალასაც წარმოადგენს. ვუყურეთ ინგლისისა და ირლანდიის ამხანაგურ თამაშს. ლონგი, რომელმაც ინგლისელებს გოლი გაუტანა, ჩემი ყოფილი თანაგუნდელია. რობი კინთან ერთად, ის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. ძალიან რთული თამაში იქნება, თუმცა, ძალიან საინტერესო. ასეთ გუნდებთან მატჩი, განსაკუთრებით, იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოადგებათ, რომლებიც ჩვენს ნაკრებში თამაშობენ."*



საქართველოს ნაკრები დუბლინში ემზადება

**ირაკლი მაისურაძე**: *„ყველამ კარგად იცის, თუ როგორი ძლიერი ნაკრებია ირლანდია. ინგლისი-ირლანდიის მატჩი ვნახეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საკმაოდ მაღალი დონის, ბრძოლისუნარიანი გუნდია. რთული თამაში გველის, მაგრამ იმედი მაქვს, კარგი სანახაობა იქნება. თან, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე უნდა ვითამაშოთ..."*

მატჩამდე 24 საათით ადრე **თემურ ქეცბაიას** გუნდი "ავივას" სტადიონზე მატჩისწინა ოფიციალურ ვარჯიშს ჩაატარებს. ირლანდია-საქართველოს მატჩი ხვალ თბილისის დროით 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. შეხვედრის ტელერეპორტაჟის ხილვა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პირდაპირი ეთერით იქნება შესაძლებელი.

საქართველოს ნაკრები ირლანდიასა და დანიასთან მოახლოებული საკონტროლო შეხვედრებისთვის ამ შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **ომარ მიგინეიშვილი** (ტორპედო);

მცველები: **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **დავით კვირკველია, გულვერდ თომაშვილი** (ორივე – დილა, გორი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გიორგი ფოფხაძე** (ბაქი, აზერბაიჯანი), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **მამუკა კობახიძე** (ალანია, რუსეთი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე** (ორივე – დნიპრო, უკრაინა), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ. რუსეთი), **დავით თარგამაძე** (ილიჩევეცი, უკრაინა), **მერაბ გიგაური** (ტორპედო, ქუთაისი), **ირაკლი მაისურაძე** (დილა, გორი), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი), **დავით დევდარიანი** (ორჰუსი, დანია), **თორნიკე გორგიაშვილი** (ზესტაფონი);

თავდამსხმელი: **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია).

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სავარაუდო დანიშვნა

# ივანაუსკასი ზესტაფონში მიდის



ვალდას ივანაუსკასი

გორის „დილადან" წასული **ვალდას ინავაუსკასი** „ზესტაფონის" მწვრთნელი იქნება - ასეთი ცნობა გავრცელდა კულუარებში.

ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან შევიტყვეთ და არა გვგონია, რომ ივანაუსკასის „ზესტაფონში" შესაძლო მისვლა გამოგონილი ამბავი იყოს.

ლიტველმა სპეციალისტმა წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის ჩაიბარა „დილა", მერე კი კონტრაქტი დაუმთავრდა ამ გუნდთან. „დილაში" დაფინანსების მხრივ პრობლემები იყო და ალბათ ამის გამო ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაგრძელება.

46 წლის ლიტველი სპეციალისტი როგორც ჩანს, საქართველოს კარგად შეეგუა და ვნახოთ, იქნებ ხელმეორედ ჩაიბაროს ქართული გუნდი.

ყველაფერი საბოლოოდ ვინძლო მაშინ გაირკვევა, როცა ის სახელმწიფო პროგრამა გამოქვეყნდება, ქართული საფეხბურთო კლუბების დახმარებას რომ ითვალისწინებს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერი



ლუკა ზარანდია

# ლუკა ზარანდია აიაქსი თუ ვიტესი?

ევროპის ჩემპიონატზე გასული **გია ცეცაძის** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყველაზე უმცროსი წევრი 1996 წელს დაბადებული **ლუკა ზარანდია** გახლავთ. 17 წლის თავდამსხმელმა წლეულს ელიტ რაუნდზე მეორედ იასპარეზა – პირველად **გიორგი დევდარიანის** 17-წლამდელებში, ახლა კი ბელგიაში 19-წლამდელებში.

ლუკა ზარანდია თბილისის „ლოკომოტივის" წევრია. მან ბელგიაში ჯვაროსნების ფორმა მხოლოდ მასპინძლებთან ბოლო შეხვედრაში მოირგო და გამარჯვებაში წვლილი შეიტანა – 74-ე წუთზე დანიშნული პენალტი სწორედ მისი წაქცევისთვის დაინიშნა.

შევიტყვეთ, რომ ლუკას თავს მნიშვნელოვანი ამბები ხდება. არაორდინარული, ტექნიკური და შედეგიანი ფეხბურთელი ჯერ კიდევ 17-წლამდელებში ასპარეზობის შემდეგ დაინტერესდნენ, როდესაც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა და სამ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა.

მაშინ ზარანდიამ გაგვიმხილა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შემდეგ მისით რამდენიმე კლუბი დაინტერესდა - გერმანული „ჰოფენჰაიმი", სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი", უკრაინული დონეცკის „შახტარი" და კიევის „დინამო", აგრეთვე ჰოლანდიური არნემის „ვიტესი" და ამსტერდამის „აიაქსი". არ დაუმალავს, მათგან ყველაზე სასურველი „ვიტესი" არისო. თუმცა, ისიც თქვა, რომ ეს ყველაფერი ჯერ ინტერესის დონეზე რჩებოდა და ყველაფერი ელიტ რაუნდის შემდეგ გადაწყდებოდა, მანამდე კლუბიდან კლუბში სიარული არ მარგებსო.

ამ ინფორმაციას გულშემატკივრის მწვავე რეაქცია მოჰყვა, გააგიჟეს ეს ბავშვიც, "ბარსელონა" ან "მილანი" არ ინტერესდებაო?! მაგრამ როდესაც უტყუარ ფაქტებს ვფლობთ, ასეთი გესლიანი რეაქციების შიშით ვერ წავუყრუებთ.

"ლელომ" შეიტყო, რომ ელიტ რაუნდამდე ლუკა ზარანდია ჰოლანდიაში გაემგზავრა და ამსტერდამის „აიაქსში" ისინჯებოდა – ჯერ 17-წლამდელებში, შემდეგ 19-წლიანებში, ბოლოს კი "აიაქსის" დუბლშემადგენლობაში და გვითხრეს, რომ ამსტერდამელთა მთავარ მწვრთნელს, **ფრანკ დე ბურს** მოეწონა.

მაგრამ 17 წლის თავდამსხმელი, სავარაუდოდ, მაინც **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესში" გადავა. ჰოლანდიური კლუბის ქართველი პრეზიდენტი ბელგიაში ელიტ რაუნდის შეხვედრებს დაესწრო. ჟორდანია ლუკას პერსპექტიულობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა და მონადინებულია, ზარანდიამ კარიერული სვლა სწორედ მისი ხელმძღვანელობით გააგრძელოს. "აიაქსის" მოწონების მიუხედავად, ცხადია, რომ ქართველს ჟორდანია უფრო უპატრონებს.

ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ქართველი არასრულწლოვანები შრომისა და ხელშეკრულების გაფორმების სრულყოფილი უფლებით ვერ სარგებლობენ. ამის გამო, ზარანდია ჯერ კონტრაქტს ვერ გააფორმებს, მაგრამ არნემელები მას სტაჟირებაზე ხშირად ჩასვლას სთავაზობენ, კლუბს და უცხო გარემოს რომ შეეგუოს.

თუმცა, სად ამოყოფს საბოლოოდ თავს 17 წლის ქართველი, ეს ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

გერმანიის თასი. ფინალის წინ

# შტუტგარტი ბაიერნს ემუქრება: გაგვქენით!

## ზამერი: ეს უფრო მეტია, ვიდრე გერმანიის თასის ფინალი

**დღეს გერმანიის თასის ფინალია, რომელშიც ერთმანეთს „ბაიერნი" და „შტუტგარტი" ხვდებიან. მატჩი ტრადიციულად ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" გაიმართება და სწორედ ამ შეხვედრით დაიხურება გერმანული სეზონი. მიუნხენურმა გრანდმა წინა შაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოიგო, დღეს მესამე ტიტულს, ანუ, ჰეთთრიკს უმიზნებს და, რა თქმა უნდა, ფავორიტადაც მიიჩნევა, მაგრამ „შტუტგარტი" რეკორდმაისტერს იოლად არაფერს დაუთმობს. აქვე შეგახსენებთ, რომ შვაბებმა სწორედ გერმანიის თასის ფინალში მოხვედრით გაინაღდეს ევროპალიგის საგზური.**

ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი". 22:00

**ბაიერნი–შტუტგარტი 22:00**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, ვან ბუიტენი, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**შტუტგარტი (4-2-2-1-1):** ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო - გენტნერი, ბოკა - ჰარნიკი, ტრაორე - მაქსიმი - იბიშევიჩი.

**არბიტრი:** მანუელ გრეფე (ბერლინი)

**ვერ ითამაშებენ**

**ბაიერნი:** ბადშტუბერი (ტრავმა), დანტე (ბრაზილიის ნაკრებშია), ჩანი (21-წლამდელთა ნაკრებშია), კროოსი (ტრავმა), ლუის გუსტავო (ბრაზილიის ნაკრებშია)

**შტუტგარტი:** დიდავი (ტრავმა)

ამ ფინალის წინ უფრო საინტერესო „შტუტგარტია", რადგან „ბაიერნზე" ბოლო დროს იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ რეკორდმაისტერზე ახალს ფაქტობრივად ველარაფერს ვიტყვით. უბრალოდ, საინტერესოა, რამდენად გადაყვნენ ბავარიელები ქეიფსა და ნავარდს ამ კვირაში და რამდენად კონცენტრირებულები იქნებიან თასის ფინალში.

ფაქტია, რომ „შტუტგარტი" „ბაიერნს" ბრძოლას ჰპირდება და ემუქრება კიდეც - აგრესიული ფეხბურთით! მიუნხენელებს კი ამ მხრივ მართლაც უნდა ეშინოდეთ, რადგან „შტუტგარტი" გერმანიაში ყველაზე უხეში გუნდია! გერმანიის გასრულებულ ჩემპიონატში შვაბებმა არასპორტულ რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავეს - მთელი სეზონის განმავლობაში მათ 7 გაძევება და 71 გაფრთხილება დაიმსახურეს. ახლა კი, გერმანიის ყველაზე არასპორტული გუნდი „ბაიერნსაც" ემუქრება.

*„საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტექნიკური ფეხბურთელები ხშირად მიდიან დრიბლინგზე, ამ დროს მათი შეჩერება უმეტესად მხოლოდ აგრესიულობითაა შესაძლებელი. ასე რომ, არავის გაუკვირდეს, რალაცრალაცები თუ ეტკინებათ. „ბაიერნის" ფეხბურთელებს ფინალში არაერთი მძიმე ორთაბრძოლის გაძლება და გადატანა მოუწევთ. იმის თქმა მინდა, რომ თუ გერმანიის თასის მოგება უნდათ, ეს გზაც უნდა გაიარონ,"* - აცხადებს „შტუტგარტის" ავსტრიელი შემტევი ნახევარმცველი **მარტინ ჰარნიკი** „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ალსანიშნავია, რომ თავად ჰარნიკი არასპორტული ფეხბურთელების რეიტინგში მეექვსე ადგილზეა - მარტინი ამ სეზონში 2-ჯერ გააძევეს და 5-ჯერ გააფრთხილეს. პირველადგილოსანი კი ამ საქმეში მისი თანაგუნდელი, 28 წლის თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩია** (15 გოლი ამ სეზონში), რომელმაც წითელი ბარათი ერთხელ, ყვითელი კი ათჯერ დაიმსახურა. ამასთან, ვედომ 62-ჯერ დაარღვია თამაშის წესები. „შტუტგარტს" ერთი „ყასაბი" მცველიც ჰყავს - **გეორგ ნიდერმაიერი**, რომელიც გერმანიაში მოთამაშე მცველებიდან ერთ-ერთი ყველაზე უხეშია.

„დორტმუნდის" ქომაგებს კარგად ეხსომებათ აპრილში გამართული მატჩი, რომელშიც 27 წლის ნიდერმაიერმა ჯერ კინალამ **სვენ ბენდერი** დაასახიჩრა, მერე კი **მარიო გიოტცესაც** ეუხეშა და მოედნიდან გააძევეს. ამასთან, „შტუტგარტის" თავკაც **ბრუნო ლაბადიას** ნათქვამი აქვს, რა თქმა უნდა, აგრესიული ფეხბურთიც გამართლებულია, აბა, ისე ხომ არ მოვიქცევით, როგორც „ჰამბურგის" ფეხბურთელები იქცეოდნენ, როცა „ბაიერნთან" 2:9-ს აგებდნენო...

### ბაიერნი ჰეთთრიკს უმიზნებს

„ბაიერნის" ფეხბურთელები, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფის ზეიმით გადაღლილები იყვნენ, მოტივაცია კი ნაღდად არ აკლიათ, რადგან რეკორდმაისტერს ჰეთთრიკის შესრულების შანსი ეძლევა, ეს კი პატარა ამბავი არ არის.

*„ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფინალი. დაუშვებელია, რომ ბუნდესლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ, „ბაიერნმა" გერმანიის თასი ვერ დაისაკუთროს. ზღაპრული სეზონი ზღაპრულად უნდა დავასრულოთ,"* - ეს მიუნხენური გრანდის სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** სიტყვებია.

რაც შეეხება საკადრო საკითხებს: წინასამატჩო ოქმშიც ნახავდით, რომ „შტუტგარტს" მხოლოდ ტრავმირებული **დიდავი** აკლია, რაც **ბრუნო ლაბადიას** გუნდისთვის სერიოზული დანაკლისი არ არის. ამ მხრივ, „ბაიერნი" უფრო რთულ სიტუაციაშია: დიდი ხნის ტრავმირებულებთან ერთად (**ბადშტუბერი, კროოსი**), **იუპ ჰაინკესი** („დონ იუპისთვის" ეს ბოლო მატჩია „ბაიერნის" თავკაცის რანგში) ვერც ბრაზილიელებს, **დანტესა** და **ლუის გუსტავოს** გამოიყენებს. საქმე იმაშია, რომ 29 წლის მცველი და 25 წლის ნახევარმცველი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ არაფრისდიდებით არ დათმო.

*„ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ბრაზილიელებმა დანტესა და ლუის გუსტავოზე ფსიქოლოგიური ტერორი განახორციელეს. უთქვამთ, თუ ახლა არ ჩამოხვალთ, ნაკრებში აღარასოდეს გამოგიძახებთო. ეს საშინელებაა! ვფიქრობ, პრობლემას არ წარმოადგენდა ის, რომ ბიჭებს თასის ფინალი ეთამაშათ და ნაკრებში ამის შემდეგ გამგზავრებულიყვნენ,"* - განაცხადა გუშინ „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ.** „სელესაოს" თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** დანტე და ლუის გუსტავო კონფედერაციის თასისთვის (15-დან 30 ივნისამდე ჩატარდება) გამოიძახა, მანამდე კი მკაცრად თქვა, ვინც ნაკრებს 1 ივნისამდე არ შემოუერთდება, „სელესაოში" ველარასოდეს ითამაშებსო. აქვე გეტყვით, რომ კვირას (2 ივნისს) ბრაზილიის ნაკრებს ინგლისის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი აქვს...

**გოტფრიდ ლენცი**



**მარტინ ჰარნიკის (მარცხნივ) შტუტგარტი ბუნდესლიგაში ყველაზე უხეში გუნდია, რაც ამ ფოტოდანაც კარგად ჩანს. მარჯვნივ: დორტმუნდელი მარსელ შმელცერი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გომესი: ნეაპოლი და ფლორენცია?

## მარიოს იტალიელები ეპატიჟებიან

„ბაიერნის" სხვა ფეხბურთელებთან ერთად, გერმანიის თასსა და შესაბამის ჰეთთრიკს **მარიო გომესიც** უმიზნებს, მაგრამ 27 წლის ფორვარდი მომავალზეც ინტენსიურად ფიქრობს. მომდევნო სეზონზე უკვე „ბაიერნის" ხელმძღვანელებიც ფიქრობენ და წესით, ამ დღეებში ხშირად უნდა ესაუბრებოდნენ რეკორდმაისტერის მომავალ თავკაც **ხოსეპ გვარდიოლას** - დაგეგმვა ხომ პირველ რიგში ახლა მისი პრეროგატივაა.

მომავალი სეზონისთვის „ბაიერნის" შესახებ ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი და ფაქტია, რომ თასის ფინალის შემდეგ გვარდიოლა ასპარეზზე გამოვა და კითხვებზე პასუხების გაცემას დაიწყებს, მანამდე კი ყველაზე მეტად სწორედ გომესს აინტერესებს, რა ბედი ელის.

ამ სეზონის დასაწყისში გომესმა ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც სეხნია **მანჯუკიჩი** ველარ დაჯაბნა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიბრუნა. ჰაინკესი გომესს უმეტესად შეცვლაზე ათამაშებდა და ფაქტია, რომ მომავალი სეზონისთვისაც მცირე შანსები აქვს, რადგან ბავარიელები **რობერტ ლევანდოვსკიზე** ფიქრობენ...

„კიკერის" ინფორმაციით, გომესით ორი იტალიური კლუბი სერიოზულადაა დაინტერესებული: ერთი იტალიის ვიცე-ჩემპიონი „ნაპოლია", მეორე კი - მეოთხეადგილოსანი „ფიორენტინა". ნეაპოლელებს მარიო, რა თქმა უნდა, **ედინსონ კავანის** შემცვლელად სურთ, რომელსაც იქ ალბათ მართლა აღარავინ გააჩერებს. თუ გომესი იტალიაში წავა, გერმანიის ნაკრების მეორე თავდამსხმელი იქნება, რომელიც სერია A-ში ითამაშებს - როგორც იცით, **მიროსლავ კლოზე** „ლაციოში" „თავიდან დაიბადა"...

**გოტფრიდ ლენცი**



გაფრინდება მარიო გომესი იტალიაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. ბოლო ტურის წინ

1 ივნისი

**რეალი-ოსასუნა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხედირა - არიბასი, დამია

**ტრავმა:** კოენტრაო, კასილიასი, ჩაბი ალონსო, რამოსი, ვარანი - ანანი, ნინო, სისი, ლოლო, ფლანიო

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +16=6-5, (51-26)

**ბარსელონა-მალაგა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ალვეში, მესი, პუიოლი - სანტა კრუსი (?)

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 25 თამაში: +18=5-2, (65-23)

**სელტა-ესპანიოლი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვაკასო (ესპ)

**ტრავმა:** ბერმეხო, პარკი, ალვარესი, დემიდოვი (?), მალიო - ლონგო, ალვარესი, მორენო

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +10=8-11, (33-40)

**დეპორტივო- სოსიედადი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მარჩენა - ესტრადა, ელუსტონდო

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +14=9-8, (40-31)

**გრანადა-ხეტაფე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლაფიტა, ფერნანდესი (ხეტ)

**ტრავმა:** ფ. რიკო, ბრაიმი, იებდა, ბენიტესი - კოლუნგა, ტორესი, ბორხა

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +1=0-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 3 თამაში: +1=1-1, (3-3)

# ორი უცნობი: ვის დარჩება ლიგა და ვინ გადარჩება

## ბევრისთვის გამოსათხოვარი ტური

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 37 | 31 | 4 | 2 | 111-39 | 97 |
| 2. რეალი | 37 | 25 | 7 | 5 | 99-40 | 82 |
| 3. ატლეტიკო | 37 | 22 | 7 | 8 | 62-30 | 73 |
| 4. ვალენსია | 37 | 19 | 8 | 10 | 64-50 | 65 |
| 5. სოსიედადი | 37 | 17 | 12 | 8 | 69-49 | 63 |
| 6. მალაგა | 37 | 16 | 9 | 12 | 52-46 | 57 |
| 7. ბეტისი | 37 | 16 | 7 | 14 | 56-55 | 55 |
| 8. ვალეკანო | 37 | 16 | 4 | 17 | 48-64 | 52 |
| 9. სევილია | 37 | 13 | 8 | 16 | 54-51 | 47 |
| 10. ხეტაფე | 37 | 13 | 8 | 16 | 43-55 | 47 |
| 11. ლევანტე | 37 | 12 | 9 | 16 | 39-56 | 45 |
| 12. ესპანიოლი | 37 | 11 | 11 | 15 | 43-51 | 44 |
| 13. ბილბაო | 37 | 12 | 8 | 17 | 42-63 | 44 |
| 14. ვალიადოლიდი | 37 | 11 | 10 | 16 | 47-54 | 43 |
| 15. გრანადა | 37 | 10 | 9 | 18 | 35-54 | 39 |
| 16. ოსასუნა | 37 | 10 | 9 | 18 | 31-46 | 39 |
| 17. დეპორტივო | 37 | 8 | 11 | 18 | 47-69 | 35 |
| 18. სელტა | 37 | 9 | 7 | 21 | 36-52 | 34 |
| 19. სარაგოსა | 37 | 9 | 7 | 21 | 36-59 | 34 |
| 20. მალიორკა | 37 | 8 | 9 | 20 | 39-70 | 33 |

**ბომბარდირები:** 46 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 34 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 22 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 21 - ალვარო ნეგრედო (სევილია).




**მადრიდული და ბარსელონური მატჩები, როგორც სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემი, ტურნირის ორგანიზატორებმა შაბათს, ოდნავ ადრე დანიშნეს. აი, დანარჩენ რვა შეხვედრაში კი სერიოზული ბრძოლებია მოსალოდნელი. დღეს ცხრილის ფსკერზე მყოფი კვარტეტიდან მხოლოდ ერთი გადარჩება, ხოლო „რეალ სოსიედადსა" და „ვალენსიას" შორის მხოლოდ ერთი მიიღებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს...**

### უკანასკნელად

სანამ ლა ლიგის ამ გათამაშების სატურნირო მხარეზე ვისაუბრებთ, ემოციურზე ვთქვათ: რამდენიმე მწვრთნელისთვის და ფეხბურთელისთვის ეს ტური გამოსამშვიდობებელი იქნება, წინა ტურში კი სულაც სტადიონი (სან მამესი) დაგვემშვიდობა.

**ჟოზე მოურინიო, მანუელ პელეგრინი** და **ფილიპ მონტანიე** უკანასკნელად გაიყვანენ სათამაშოდ „რეალს", „მალაგასა" და „რეალ სოსიედადს" (ჩამონათვალის შესაბამისად).

ფეხბურთიდან მიდიან „დეპორტივოს" ლეგენდა **ხუან კარლოს ვალერონი** და „ვალენსიას" კაპიტანი **დავიდ ალბელდა**, სხვაგან გადადიან **რიკარდო კარვალიო** (რეალი) და **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო). მოკლედ, ლამის ყოველ თამაშში ვილაცას გააცილებენ - ბოლო ტურისთვის ჩვეული სურათია.

### ემერი ვალენსიას წინააღმდეგ

ახლა საქმეზე - გასარკვევი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ბოლო, მე-4 საგზურის ბედი და ცხრილის ბოლო ოთხეულიდან ერთი გადარჩენილის ვინაობაა. ევროპალიგის საგზურების ამბავი გადაწყვეტილია, რადგან „რაიო ვალეკანოს" ლიცენზია აქვს ჩამორთმეული, „ბეტისს" კი სხვა ვერავინ დაეწევა (თავისთავად, ვერც „მალაგას"), ერთი საგზურიც ჩემპიონთა ლიგისთვის მებრძოლთა შორის დამარცხებულს ერგება.

**ერნესტო ვალვერდეს** „ვალენსიამ" ფანტასტიკურად განვლო ფინიშის სწორი... თუ არ ჩავთვლით ერთ, მაგრამ მთავარ თამაშს - სან სებასტიანში უშუალო კონკურენტთან შერცხვა. რომ არა ეს მატჩი „ღამურებს" თავი ქუდში ექნებოდათ, თუმცა ახლაც ყველაფერი მხოლოდ მათზეა დამოკიდებული - „სანჩეს პისხუანზე" „ვალენსია" „სევილიას" სტუმრობს და თუ მოიგებს, „რეალ სოსიედადის" თამაშის მიუხედავად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო პლეიოფის საგზურს მოიპოვებს. მაგრამ სევილიაში მოგება იოლი არაა, თუნდაც უმოტივაციო მეტოქესთან, რომელსაც „ვალენსიას" ყოფილი თავკაცი **უნაი ემერი** წვრთნის, ვინც არცთუ კეთილი მოგონებებით წავიდა „მესტალიადან".

მოგების გარდა სხვა შედეგის შემთხვევაში ლევანტელებს გალისიური მატჩის ამბების გაცნობა მოუწევთ. „ლოს ჩე" 2 ქულით უსწრებს „ჩური ურდინს", თანაბარი ქულების შემთხვევაში კი უპირატესობა ბასკების მხარეს იქნება. „რეალ სოსიედადმა" კი აუცილებლად უნდა მოიგოს „რიასორზე" „დეპორტივოსთან". ეს კიდევ უფრო რთული ამოცანაა, ეს შედეგი „დეპორტივოს" სავარაუდოდ გაწირავს, რადგან მდევარი სამეულიდან, რომელიმე მაინც შეძლებს გადასწრებას (ძალიან უნდა გაუმართლოს „დეპორს", რომ სამივე მდევარმა წაიფორხილოს).

### ვინ არ იტყვის ადიოსს?

ლა კორუნიის „დეპორტივო" (35 ქულა), ვიგოს „სელტა" (34), „რეალ სარაგოსა" (34) და პალმას „მალიორკა" (33) - აი, ის ოთხი კლუბი, რომელთაც ლა ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ. ორი გალისიური, არაგონული და ბალეარული გუნდები. აქედან მხოლოდ ერთი გავა სამშვიდობოს.

„დეპორტივოს" გასავარდნ ზონასთან 1-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს, თუმცა შინ „რეალ სოსიედადს" ხვდება, მონტანიეს გუნდს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდება (ისიც შეიძლება არ ეყოს).

მეორე გალისიური კლუბი „სელტა" უმოტივაციო „ესპანიოლს" მასპინძლობს, მაგრამ თუ „დეპორტივო" იმარჯვებს, ყველანაირი გარჯა წყალში ჩაეყრება. „სარაგოსა" მადრიდის „ატლეტიკოს" მასპინძლობს, ხოლო „მალიორკა", რომელსაც ყველაზე ცუდად აქვს საქმე - ასევე უმოტივაციო „ვალიადოლიდს".

### 100 ქულისთვის

„ბარსელონა" მთლად უმოტივაციოდ არ არის. ჯერ ერთი, უკანასკნელად მოირგებს „ბლაუგრანა" მაისურს ფრანგი მცველი **ერიკ აბიდალი**, მეორეც გუნდს შეუძლია „რეალის" მიღწევა გაიმეოროს და 100 ქულა დააგროვოს. სტუმართა ჩილელი თავკაცი კი ამ მატჩით ემშვიდობება „მალაგას" და, დიდი ალბათობით, „მანჩესტერ სიტიში" გადავა. შესაძლოა, „მალაგას" ვარსკვლავებიც დაიფანტნონ - **ხოაკინი** იტალიაში მიდის, **ისკო** ალბათ „რეალში" და ასე შემდეგ. მოკლედ, „ბარსელონა"-„მალაგა" ნამდვილად არ უნდა იყოს უინტერესო თამაში. მაგრამ ერთია, სეზონის ბომბარდირი 46 გოლით, **ლიონელ მესი** არ ითამაშებს.

### სტვენა თუ ტაში

რას გადაწყვეტს „სანტიაგო ბერნაბეუ"? **ჟოზე მოურინიოს** გამოსათხოვარ მატჩში უსტვენს „განსაკუთრებულს" თუ ოვაციას მოუწყობს. „მარკა" ვარაუდობს ობსტრუქციას, თუმცა ეს გაზეთი ყოველთვის გამორჩეული იყო ანტიმოურინიოსეული სტატიებით. სამი წლის განმავლობაში ჟოზემ მხოლოდ სამი ტიტული მოუპოვა „სამეფო კლუბს", ვერ შეაწვდინა საოცნებო „დესიმას" (მე-10 ჩემპიონთა თასს) და შეუსრულებელი მისიით მიდის ლონდონში...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

1 ივნისი

**ლევანტე-ბეტისი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ადრიანი (ბეტ)

**ტრავმა:** ლელი, ბარკერო, ხუანლუ, ლოპესი - კანიასი, პერკისი, იგიებორი, ჩიკა, მარიო

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +6=2-5, (18-20)

**მალიორკა-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** სასტრე (ვალ)

**ტრავმა:** ჟ. ვიქტორი, ალვარო, ლოპესი - გერა, ბალენსიაგა

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +11=5-7, (31-25)

**ვალეკანო-ბილბაო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** მუნიაინი (ბილ)

**ტრავმა:** როდრი, კასადო, ლეო კარილიო - ეკიზა, ლაპორტი, პერესი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +4=7-8, (29-33)

**სევილია-ვალენსია 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** რეიესი (სევ)

**ტრავმა:** ფასიო, კამპანია, ტროხოვსკი, პალოპი - ალვეში

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 38 თამაში: +15=5-18, (40-47)

**სარაგოსა-ატლეტიკო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხოსე მარი - გაბი, გოდინი

**ტრავმა:** სუკულინი, ალამო, ობრადოვიჩი (სარ)

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 33 თამაში: +10=10-13, (34-45)

ერთიანი ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. თასის ფინალი



მატჩის გმირი დიაბატე გახდა

# ბორდომ თასი მეოთხედ მოიგო

**ევიანი–ბორდო 2:3**

**გოლები:** 0:1 დიაბატე (39), 1:1 საგბო (51), 1:2 საივე (53), 2:2 ბ. ჯა ჯეჯე (70), 2:3 დიაბატე (89)

**ევიანი** (4-2-3-1): ლაკე – ბ. ჯა ჯეჯე, კამბონი, ბეტაო, ვასი – რაბიუ (82. ტიე ბი), სორლენი – ბერიგო, ნინკოვიჩი (59. ბარბოსა), ხელიფა – საგბო

**ბორდო** (4-2-2-2): კარასო – მარიანო, ენრიკე, სანე, ტრემულინა – სერტიჩი, პლაშილი (67. ბიიოგო პოკო) – მორის-ბელაი, ობრანიაკი – საივე, დიაბატე

საფრანგეთის თასის ფინალი ძალიან დაძაბული და დრამატული აღმოჩნდა და საბოლოოდ, გამარჯვება მაინც უფრო ძლიერ გუნდს დარჩა. "ბორდო" შეხვედრის განმავლობაში სამჯერ დაწინაურდა, აქედან ბოლოს 89-ე წუთზე და "ევიანს" ანგარიშის მესამე გასათანაბრებლად და სასწაულის მოსახდენად დრო აღარ ეყო.

შეხვედრის გმირი გახდა **შეიკ დიაბატე**, რომელსაც ანტიგმირობამდეც ცოტა დააკლდა – მატჩის 48-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 0:1 იყო, დიაბატემ პენალტი ვერ გამოიყენა, რასაც **საგბოს** გოლი მოჰყვა და 0:2-ს ნაცვლად, 1:1 მივიღეთ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიაბატემ შეცდომა გამოასწორა და ბოლოსწინა წუთზე გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. "ბორდომ" საფრანგეთის თასზე მეოთხედ (1941, 1986, 1987, 2013) იმარჯვა და ევროპა ლიგის საგზური მიიღო.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ჩემპიონატის ბოლო ტურშიც შეხვდნენ და დიაბატემ იქაც დუბლი შეასრულა, თუმცა იმ გოლებს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

**ტატო ბაციკაძე**

● პსჟ

# ლეონარდო 9-თვით მოკვეთეს

"პარი სენ ჟერმენის" სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ,** საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტისგან 9-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და გარდა ამისა, მომავალ სეზონს პსჟ -3 ქულით დაიწყებს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის ინციდენტი, რომელსაც ადგილი 5 მაისს ჰქონდა – "ვალანსიენთან" ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდეგ, მსაჯობით უკმაყოფილო ლეონარდო, გასახდელისკენ მიმავალ **ალექსანდრ კასტროს** დაეჯახა. ეს კადრები ყველამ პირდაპირ ეთერში იხილა.

პარიზული კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სასჯელი მეტისმეტად მძიმეა და პსჟ აპელაციის შეტანას აპირებს.

*"სასჯელი ძალიან მძიმე და არაადეკვატურია. აქედან გამომდინარე, "პარი სენ ჟერმენმა" მიიღო გადაწყვეტილება, რომ აპელაცია შეიტანოს,"* – წერია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

**ტატო ბაციკაძე**

● ამხანაგური მატჩი

# ვარსკვლავთცვენა ტურინში

## მოჯი ანიელის ავტოგოლმა გაახარა

გაზაფხულის მიწურულს იტალიაში ტრადიციული საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი იმართება, რომელშიც ერთმანეთს „ვარსკვლავებისა“ და „ჩემპიონების“ გუნდები უპირისპირდებიან. ჩემპიონებში მეტწილად ფეხბურთელები ირჯებიან, ვარსკვლავთა რიგებში კი მომღერლები და სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები. ტრადიციულად, ბევრნი არიან მრბოლელები, რადგან იტალიაში ფორმულა 1 პოპულარობით მხოლოდ ფეხბურთს თუ ჩამოუვარდება.

„ვარსკვლავთა“ შემადგენლობაში ყველაზე აქტიურნი სწორედ მრბოლელები იყვნენ: **ფერნანდო ალონსო, ფელიპე მასა, ჯანკარლო ფიზიკელა.** განსაკუთრებით ალონსო გამოირჩეოდა, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა და ერთ-ერთი გოლი თერთმეტმეტრიანით პანენკას სტილში გაიტანა. მთლიანობაში, ფერნანდომ მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა გამოავლინა და თითქმის გადაჭედილ „იუვენტუს არენას“ არაერთხელ დასტყუა ტაში.

რაც შეეხება ჩემპიონთა გუნდს, იქ საუკეთესო **ანტონიო კონტე** გახლდათ. „იუვეს“ თავკაცმა პოკერი შეასრულა და საგოლე გადაცემებიც გააკეთა. კონტე ბრწყინვალე იყო და მეტწილად, შეტევის წინა ხაზზე ირჯებოდა. არადა, გახსოვთ ალბათ, ფეხბურთელობისას ცენტრალური ნახევარმცველი იყო. კონტეს კარგად აუბა მხარი **პაველ ნედვედმა,** რომელმაც სამი საგოლე პასი გააკეთა და ბოლოს, თერთმეტმეტრიანით იხეირა. ჩემპიონთა გუნდში გამოირჩეოდნენ **ჩირო ფერარა, ედგარ დავიდსი, პაოლო მონტერო** და **ფილიპო ინძაგი.** აღსანიშნავია, რომ ამ გუნდში „იუვეს“ პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმაც** ითამაშა და მასზე ქვემოთაც გვექნება საუბარი. აქვე ვთქვათ, რომ მატჩი ფრედ, 9:9 დასრულდა.

### მოჯის მწარე ენა

ტურინულ შეხვედრას **ლუჩანო მოჯიმაც** მიადევნა თვალი და შემდეგ, ჟურნალისტებთან გასაუბრება გადაწყვიტა. ასეთ დროს, ყოველთვის რაღაც საინტერესოს უნდა ელოდო და მოჯიმაც არ გაგვიცრუა იმედები. დროა, სიტყვა „იუვენტუსის“ ყოფილ მმართველ დირექტორს გადავცეთ:

*„სამწუხაროდ, ამ მატჩზე არ დამპატიჟეს და ბილეთის ყიდვა მომიწია. როგორც ჩანს, ბევრს დაავიწყდა, რომ „იუვენტუსის“ განვითარებაში მეც მაქვს წვლილი შეტანილი და არც თუ მცირე. საინტერესო მატჩი იყო, რომელშიც რამდენიმე მოთამაშე ბრწყინვალედ გაისარჯა. განსაკუთრებით ანტონიო კონტე, რომელმაც ფორვარდის მონაცემები გამოავლინა და ცოტა გული დამწყდა, რომ მთელი კარიერა საყრდენი იყო. ჩემი შთაბეჭდილებით, კონტე დღეს გაცილებით უკეთესი ფორვარდია, ვიდრე ნიკლას ბენდტნერი და ნიკოლას ანელკა ერთად. „იუვეს“ მესვეურებს ვურჩევდი, რომ შეეშვან არაფრის მაქნისი მოთამაშეების გადაბირებას და კონტე მოთამაშემწვრთნელად აქციონ. თავს დავდებ, ბენდტნერი სახიფათო მომენტებს ვერ გამოიყენებდა და არა თუ პოკერს, დიდი ალბათობით ერთ გოლსაც ვერ გაიტანდა. ძალიან სიმბოლური იყო ეპიზოდი, როდესაც ანდრეა ანიელიმ გოლი საკუთარ კარში გაიტანა. მოედანზე არაფერი იმალება და ეს ავტოგოლიც ამის ნათელი დადასტურება გახლდათ. მთლიანობაში, ძალიან კარგი თამაში იყო და როგორც ყველამ, მეც სიამოვნება მივიღე".*

**ლაშა ნიკლაური**



ანტონიო კონტემ პოკერი შეასრულა

● რომა

# სტეკელენბურგი: ზემანს ვერაფერი გავუგე

## ჰოლანდიელი რომას ტოვებს

ჰოლანდიის ნაკრების მეკარემ **მარტინ სტეკელენბურგმა** დაადასტურა, რომ „რომას' ტოვებს და მომდევნო სეზონიდან სხვა გუნდში იასპარეზებს. 30 წლის მეკარის სავარაუდო ნავსაყუდელი ინგლისური „ფულჰემია", თუმცა ჯერჯერობით, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დასტურდება. სტეკელენბურგი „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

„იტალიაში დიდი იმედებით ჩამოვედი, მაგრამ სამწუხაროდ, შესაძლებლობების წარმოჩენა ვერ შევძელი. სერია A-ში თამაში მეტად რთულია, მაგრამ ჩემი უთამაშებლობის მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ - ვერაფერი გავუგე ზდენეკ ზემანს, რომელმაც ამითვალწუნა და სათადარიგოთა სკამზე გამამწესა. არადა, ამის არავითარი საბაბი არ ჰქონდა, რადგან ფატალური შეცდომები არ დამიშვია. ასეა თუ ისე, ჩემი რომაული კარიერა სრულდება და სიმართლე გითხრათ, ეს მხოლოდ მახარებს".

სტეკელენბურგმა „რომას" მწვრთნელ-მესვეურთა ყურადღება ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინვალე ასპარეზობით მიიქცია - ტრანსფერი ზაფხულში განხორციელდა და ჰოლანდიელი მეკარე „ჯალოროსიში" 6 მილიონ ევროდ გადავიდა. თავიდან, სწორედ მარტინი გახლდათ ძირითადი კიპერი, თუმცა შემდეგ ადგილი ურუგვაელ კოლეგას, **გოიკოეჩეას** დაუთმო. სტეკენებურგი **ზდენეკ ზემანმა** აითვალწუნა და თადარიგში გადაისროლა, თუმცა მას არც მაშინ ეშველა, როდესაც დედაქალაქურ გუნდს **აურელიო ანდრეაცოლი** ჩაუდგა სათავეში. სერია A-ს უკვე გასრულებული გათამაშების ბოლო ტურებში „რომას" კარს მესამე მეკარე **ბოგდან ლობონტი** იცავდა და სტეკელენბურგმა სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ „ჯალოროსიდან" უნდა წასულიყო.

**ლაშა ნიკლაური**



მარტინ სტეკელენბურგი

● ამბ[illegible]



სნეიდერს „ინტერის" ფიასკო არ წყენია

# სნეიდერი: ინტერის ფიასკო ლოგიკურია

„გალათასარაის" 28 წლის შემტევმა **ვესლი სნეიდერმა** იტალიურ სპორტულ ჟურნალისტებთან საუბარში დაუფარავად განაცხადა, რომ „ინტერის" ფიასკომ სულაც არ დაწყვიტა გული:

*„ბოდიში „ინტერის" გულშემატკივრებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ „ინტერის" სრული ფიასკო სულაც არ მწყენია. „ნერაძურიმ" ჩემპიონატში მეცხრე ადგილი დაიკავა და ევროტურნირებს მიღმა დარჩა, რაც ლოგიკური მგონია. კლუბის სათავეში არაერთი უპასუხისმგებლო ადამიანი მუშაობს, რომლებიც უფრო აფუჭებენ, ვიდრე აკეთებენ საქმეს. პირადად მე, უამრავი პრობლემა შემიქმნეს და მილანიდან აბარგების სურვილი გამიჩინეს. იმედია, მასიმო მორატი ვითარებას კარგად გააანალიზებს და სწორად გადაწყვეტილებებს მიიღებს. კლუბის დირექტორატში ბევრი არაკომპეტენტური ადამიანია და ის, რომ გუნდი ასეთ დღეშია, ნაწილობრივ მათი ბრალია".*

# ბალოტელი ალეგრის აქებს



მარიო ბალოტელის იმედი აქვს, რომ მასიმილიანო ალეგრი მომდევნო სეზონშიც „მილანის" მთავარი მწვრთნელი იქნება

თითქმის ყოველ ნომერში გვიწევს წერა „მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **მასიმილიანო ალეგრის** სავარაუდო გათავისუფლების შესახებ. მაქსის ბედი ამ დღეებში წყდება და საბოლოო ვერდიქტი მისი და **სილვიო ბერლუსკონის** შეხვედრის შემდეგ გაცხადდება. აღნიშნულ თემაზე კომენტარი „მილანის" თავდამსხმელმა **მარიო ბალოტელიმ** გააკეთა:

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ალეგრი დარჩება, რადგან მასთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ის, რომ „მილანში" თავს საოცრად კარგად ვგრძნობ, ამაში თავისი წვლილი სწორედ მასიმილიანოს მიუძღვის. ვფიქრობ, არსებული რესურსით მეტის მიღწევა გაუჭირდებოდა და არ მესმის, საერთოდ რატომ დგას მისი შესაძლო გათავისუფლების საკითხი. იმედია, ალეგრი დარჩება - ამის უდიდესი სურვილი მაქვს".*

ბალოტელის **რობინიომაც** აუბა მხარი და დასძინა: *„გაოცებული ვარ, რომ ალეგრის წასვლის საკითხი დგას დღის წესრიგში. „მილანში" ჩემი დატოვება სწორედ მასიმილიანოს სურვილი გახლდათ და მაშინს მომდევნო სეზონის გეგმებზე ბევრი ვისაუბრეთ. იმედია, მაქსი დარჩება, მასთან ერთად „როსონერის" დიდი წარმატებები ელოდება".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# ბრაზილია–ინგლისი კინაღამ ჩაიშალა

## ახალი მარაკანა და ძველი საფრთხე

ახლად გარემონტებული „მარაკანა“, რომელზეც მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ჩატარება იგეგმება, ხვალ ბრაზილია-ინგლისის ამხანაგურ მატჩს უმასპინძლებს, არადა, საკითხს დიდი კითხვის ნიშანი დაესვა მას მერე, რაც ხუთშაბათს საღამოს რიო დე ჟანეიროს საქალაქო სასამართლომ, კერძოდ კი მოსამართლე **ადრიანა კოშტა დუშ სანტუშმა** პროკურატურის განცხადება დააკმაყოფილა და აღნიშნული მატჩის ჩატარება აკრძალა. როგორც გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, მიზეზი იყო ის, რომ შესაბამის სამსახურებს საჭირო დრომდე არ ჰქონდათ წარდგენილი ოფიციალური დასკვნა, სტადიონის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით.

რიო დე ჟანეიროს ადმინისტრაციამ სასწრაფოდ გაავრცელა განცხადება, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას აპელაციის წესით ზემდგომ სასამართლოში გაასაჩივრებდა. მათი მტკიცებით, „მარაკანას“ ექსპლუატაციაში გასაშვებად საჭირო დოკუმენტები მზად იყო და პრობლემა მხოლოდ ბანალური ბიუროკრატიული დაუდევრობის შედეგი გახლდათ, რის გამოც ხუთშაბათამდე მათი დანიშნულების ადგილამდე მიტანა ვერ მოხერხდა. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო 29 მაისს გამართული კათოლიკური სადღესასწაულო ღონისძიებაც. სააპელაციო სასამართლოში ქალაქის ხელმძღვანელთა სარჩელს მხარი დაუჭირა ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციამაც.



მარაკანას გახსნა მეორედ უკვე აღარ გადაიდო

„მარაკანაზე“ დასასწრები 78 ათასივე ბილეთი რამდენიმე დღის წინ გაიყიდა. ასე რომ, აპელაციის დაკმაყოფილების შემდეგ მთელი ბრაზილია ხმაურიან საერთაშორისო სკანდალს გადაურჩა. მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი სტადიონების მძიმე მდგომარეობა. ამ თემაზე ფიფაში უკვე დიდი ხანია ხმამაღლა ალაპარაკდნენ. შეგახსენებთ, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ ეს ლეგენდარული სტადიონის გახსნის მეორე მცდელობაა. პირველად 15 მაისს თამაში წყალგაყვანილობის მსხვილი მილის დაზიანების გამო გადაიდო.

იქამდე, ვიდრე თამაშის ჩატარება-არჩატარების ამბავი გადაწყდებოდა, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა დრო უქმად არ დაკარგეს და რიოს პლაჟზე მცხუნვარე მზეს მიეფიცხნენ. ბრაზილია-ინგლისის ამხანაგური მატჩი **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებისთვის უკანასკნელი რეპეტიციაა კონფედერაციის თასის გათამაშების (15-30 ივნისი) დაწყებამდე. კუნძულელები კი ამის შემდეგ დამსახურებულ შვებულებებში გავლენ.

ფიფას კონგრესი

# ფიფა ბრძოლის მეთოდებს ცვლის



ფიფა გარიგებულ მატჩებთან და რასიზმთან ბრძოლის გაძლიერებას გეგმავს

ფიფას 63-ე კონგრესის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ორგანიზაციის წესებში შესატან ცვლილებების პროექტს, რომელიც საფეხბურთო აგენტების მუშაობას დაარეგულირებს. ინიციატივა ფიფას ფეხბურთელთა სტატუსის განმსაზღვრელი კომიტეტისა და ამავე დროს სადავო საკითხთა განმხილველი პალატის წევრ **ჯეფ ტომპსონს** ეკუთვნის. აქვე გეტყვით, კანონმდებლობაში შესატან რა ცვლილებებზეა ლაპარაკი: 1. უნდა შეიცვალოს აქამდე მოქმედი ლიცენზირების სისტემა; 2. წესებში ჩაიწეროს მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც აგენტობის პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს 3. შეიქმნას სისტემა, რომელიც აგენტების რეგისტრაციას უზრუნველყოფს. აღნიშნული თემების დასამუშავებლად შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც წესების ახალ რედაქციას უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს მომდევნო წლის გაზაფხულზე წარუდგენს.

კონგრესმა განიხილა მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც. საქმე ეხება გარიგებული თამაშების წინააღმდეგ ბრძოლას. საკითხის განხილვას მხარი დაუჭირა კონგრესის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ამ მავნე პრაქტიკასთან საბრძოლველად ფიფა სამომავლოდ ცვლილებების შეტანას გეგმავს სადისციპლინოსა და ეთიკის კოდექსებში, ასევე მთელ რიგ სხვა დოკუმენტებშიც. უკვე გადაწყვეტილია, რომ ორგანიზაცია ამ საკითხის განხილვას მეტ სემინარს მიუძღვნის. ამას გარდა იგეგმება თანამშრომლობის გაღრმავება ინტერპოლთან, რათა უკვე გამოვლენილი გარიგებული თამაშების გამოძიება რაც შეიძლება სწრაფად წარიმართოს.

### რასიზმი: დღის უმთავრესი თემა

შეიძლება უკვე დადგა კიდეც დრო, რომ ფეხბურთმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს ისეთ საშინელ მოვლენას, როგორიც არის რასიზმი, რადგან, გადაჭარბების გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ ის ძირს უთხრის მსოფლიოში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარებას. ფიფამ ახალი რეზოლუცია მიიღო რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ. აი, რა თქვა **ზეპ ბლატერმა** კონგრესის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას: *„წელს ჩვენ უკვე რამდენჯერმე შევეჩეხეთ რასიზმის გამოვლენის უმახინჯეს ფორმებს, რაც ჩირქს სცხებს სრულიად საფეხბურთო სამყაროს. მე ვგულისხმობ სიძულვილის პოლიტიკას – რასიზმს, უმეცრებას, დისკრიმინაციას, აუტანლობას. ეს არის არაცივილიზებული, ამორალური ძალა, რომელიც თვითგანადგურებისკენ არის მიმართული და რომელიც ჩვენში მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას უნდა იწვევდეს. დიდი იმედი მაქვს ახალი მკაცრი რეზოლუციის, რომლითაც რასისტებს სერიოზულ შეტყობინებას ვუგზავნით“.*

ახალი დოკუმენტით დაკანონდება ახალი უმკაცრესი სანქციები რასიზმის გამოვლენის შემთხვევაში. რეზოლუციის თანახმად, ფეხბურთელი, ვინც მსგავს ქმედებებში იქნება შემჩნეული, მინიმუმ, 5-თამაშიან დისკვალიფიკაციას მიიღებს. ანალოგიურად დაისჯებიან საფეხბურთო სამყაროს სხვა წარმომადგენლებიც. ცალკე პუნქტი ეხება წესის დამრღვევ კლუბებს: შედარებით მსუბუქ შემთხვევაში, სუბიექტი მკაცრ გაფრთხილებას მიიღებს, გარკვეული თანხით დაჯარიმდება ან მომდევნო თამაშ(ებ)ს ცარიელი ტრიბუნების წინაშე გამართავს. ინციდენტის განმეორების შემთხვევაში კი კლუბს ჩემპიონატში ქულები დააკლდება ან სულაც შეჯიბრებიდან მოიკვეთება. თანაც ყოველი ასეთი საქმის განხილვა კიდევ უფრო სკურპულოზურად წარიმართება.

ამბები

### ჟოზეს კარანკა არ ეთმობა



ჟოზე მოურინიო (მარცხნივ) და აიტორ კარანკა

**ჟოზე მოურინიოს** „ჩელსიში“ დანიშვნას მხოლოდ ლონდონელთა ოფიციალური გვერდის დასტური და მწვრთნელის წარდგენაღა აკლია. დანარჩენი ფორმალობები უკვე მოგვარებულია. რატომ ჭიანურდება ეს საქმე, ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის. მოურინიოს „რეალში“ პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის თამაში დარჩა გასამართი. 50 წლის პორტუგალიელი ლონდონურ გეგმებზე უკვე მუშაობს. მას „სტემფორდ ბრიჯზე“ „რეალში“ მისი ახლანდელი თანაშემწის **აიტორ კარანკას** წაყვანა სურს. „განსაკუთრებული კაცის“ მემკვიდრის ვინაობა სამეფო კლუბს ჯერ არ გაურკვევია. შესაბამისად, უცნობია, შესთავაზებენ თუ არა მადრიდელები კარანკას თანამშრომლობის გაგრძელებას. *„ჩემს მომავალთან დაკავშირებით ხელმძღვანელობასთან ჯერ არ მილაპარაკია. ჩემი კონტრაქტი კიდევ სამი წლით არის ძალაში, მაგრამ დავრჩები თუ არა მადრიდში, ამ შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს,“* – განუცხადა „მარკას“ აიტორ კარანკამ.

ესპანური პრესის ცნობით, ბასკ სპეციალისტს „ჩელსიში“ გადასვლის გარდა დამოუკიდებელი სამწვრთნელო პრაქტიკის დაწყების შანსიც აქვს. მას საფრანგეთის ლიგა 1-ის ერთ-ერთი კლუბისგან უკვე აქვს შეთავაზება.

### ლუნგბერგი არსენალში დაბრუნდა

„არსენალის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდის ყოფილი ვარსკვლავი **ფრედი ლუნგბერგი** კლუბის სისტემაში დასაქმდა და ამიერიდან ის „მეთოფეთა“ ელჩის მოვალეობას შეასრულებს. 36 წლის შვედმა თავის დროზე ლონდონელთა რიგებში ცხრა წელი გაატარა (1998/2007) და მარტო პრემიერლიგაში 200-ზე მეტი შეხვედრა გამართა. მან 2-ჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონის ტიტული (2002, 2004), 3-ჯერ გახდა ასოციაციის თასის გამარჯვებული (2002, 2003, 2005), 2006 წელს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე მიაღწია. ელჩის მოვალეობაში შედის კომერციულ და საქველმოქმედო ღონისძიებებზე დასწრება და მისი ინტერესების დაცვა. ლუნგბერგს პირველი სამუშაო უკვე გამოუჩნდა. უახლოეს დღეებში ის პირველ ასეთ შეკრებას დაესწრება. *„ჩემთვის დიდი პატივია ამ როლის შესრულება, რადგან „არსენალს“ ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა კლუბს მაქსიმალურად დავეხმარო,“* – აცხადებს ლუნგბერგი.

### სიტი ნავასს შეუთანხმდა



ხეუს ნავასი

**ხესუს ნავასის** მომავალთან დაკავშირებით ევროპულ პრესაში დიდი მითქმამოთქმა იყო ატეხილი, რადგან 27 წლის მარჯვენა გარემარბს „სევილიაში“ დარჩენა აღარ სურდა. მისით „რეალი“, „ლივერპული“, „დორტმუნდი“ და „მანჩესტერ სიტი“ იყვნენ დაინტერესებულნი. ესპანური „ასის“ ცნობით, ამ ბრძოლაში ინგლისის ექსჩემპიონმა იმარჯვა, ვინც ფეხბურთელს უკვე მოურიგდა პირადი კონტრაქტის დეტალებზე, „სევილიას“ კი 30 მილიონი ევროს გადახდა აღუთქვა. ანალოგიური ცნობა რამდენიმე დღის წინაც გავრცელდა, მაგრამ ანდალუსიურმა კლუბმა მაშინ 25-მილიონიან შეთავაზებაზე უარი თქვა. ესპანელი გარემარბის შეძენის ინიციატორად უმალ **მანუელ პელეგრინი** მოინათლა. ჩილელი სპეციალისტი ხომ „ქალაქელებს“ უახლოეს დღეებში ჩაიბარებს.

### თუკი მინიოლე წავა

„სანდერლენდის“ 24 წლის გოლკიპერის **სიმონ მინიოლეს** შეძენით პრემიერლიგის რამდენიმე შეძლებული გუნდია დაინტერესებული (ყველაზე ხშირად მათ შორის „არსენალს“ ასახელებენ). „შავ კატებს“ უკვე შედგენილი აქვთ სია იმ შემთხვევისთვის, თუკი ბელგიელი „სტედიუმ ოფ ლაითსიდან“ წასვლას გადაწყვეტს. „დეილი მეილის“ ცნობით, ერთ-ერთი, ვისზეც გუნდის მთავარი მწვრთნელი **პაოლო დიკანიო** სერიოზულად ფიქრობს „სელტიკისა“ და ინგლისის ნაკრების 25 წლის კარის დარაჯი, გიგანტური აღნაგობის (201 სმ) **ფრეიზერ ფორსტერია**.

### ჰიუზს კრაუჩი არ სჭირდება



პიტერ კრაუჩი

„სტოკ სიტიში“ დანიშვნის შემდეგ **მარკ ჰიუზი** საქმეს შეუდგა. პირველი, ვის სამსახურზეც უელსელმა უარი თქვა, **პიტერ კრაუჩია**. მას „ქუინზ პარკთან“ გარიგება და „ლოფტუს როუდიდან“ 22 წლის **ჯუნიორ ჰოილეტის** წამოყვანა სურს. ჰიუზი მას ჯერ კიდევ „ბლექბერნში“ წვრთნიდა. „რეინჯერებს“ ის სანაცვლოდ სწორედ კრაუჩს სთავაზობს. რამდენად ლოგიკურია, ახალგაზრდა შემტევის ნაცვლად 32 წლის ვეტერანის შეთავაზება, ეს თავად განსაზღვრეთ. ცნობილია ისიც, რომ „ქუინზ პარკის“ დამრიგებელ **ჰარი რედნაპს** კანადელი ფეხბურთელი არ სჭირდება და მის გაყიდვაზე ფიქრობს. გასულ სეზონში ჰოილეტმა 26 თამაშში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. თავის მხრივ „სტოკში“ არც კრაუჩი ბრწყინავდა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა 34 შეხვედრაში 7-ჯერ გამოიჩინა თავი და 6 საგოლე გადაცემა შეასრულა.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლობა, კახა!



საპატიო წრე



პიპო ინძაგის პენალტი



მარცხნიდან: ადრიანო გალიანი, ბიძინა ივანიშვილი, კახა კალაძე

**კალაძის მეგობრები 1:3 მილანი**

1:0 დემეტრაძე (25-პენ), 1:1 ფ. ინძაგი (42-პენ), 1:2 შევჩენკო (71), 1:3 ვიერხოვოდი (75)

მეგობრები (4-2-2-2): შოვკოვსკი - ვაშჩუკი, ფერნანდო კოუტუ, კანავარო, გროსო - მუჯირი, კობიაშვილი - დემეტრაძე, იაშვილი - შ. არველაძე, ტონი.

*შეცვლაზე შევიდნენ:* სტურუა, ზამთარაძე, ცქიტიშვილი, ჯამარაული, ქინქლაძე, ა. არველაძე, ალექსიძე, გახოკიძე, უმით დავალა, ცხადაძე, შელია, ნემსაძე, რებროვი, ყაველაშვილი, ჰაქან შუქური

მწვრთნელები: ა. ჩივაძე, ფ. თერიმი

მილანი (4-4-2): როსი - შიმიჩი, ბარეზი, კალაძე, მალდინი - ოდო, ჯუნტი, ფლამინი, სერჟინიო - შევჩენკო, ფ. ინძაგი.

შეცვლაზე შევიდნენ: ბობანი, ბა, მასარო, კარბონე, ფავალი, პანკარო, ერანიო, როკე ჟუნიორი, უმით დავალა, ვიერხოვოდი

მწვრთნელები: კ. ანჩელოტი, ჩ. მალდინი

მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

ფეხბურთელ **კახა კალაძეს** უკანასკნელად დაუკრეს ტაში სტადიონზე. ზეიმი მართლაც შედგა. საბენეფისო მატჩის წინ იყო პატარა წარმოდგენა, კალაძის მეგობარმა ბერამ რამდენიმე სიმღერა შეასრულა, სცენაზე ამერიკელი რეპერიც გამოჩნდა. „დინამო არენა" გაივსო...

შოუს დიქტორები **დიმიტრი ობოლაძე და ნუგზარ რუხაძე** იყვნენ. მოთელვაზე გამოსულმა ფეხბურთელებმა ბურთები ტრიბუნებისკენ გაისროლეს. მატჩის დაწყებამდე სტადიონის ეკრანზე ათწუთიანი დოკუმენტური ფილმი გაუშვეს კალაძეზე. ყველაფერი მაღალ დონეზე იყო შესრულებული.

მოედანზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიც გამოვიდა და ცხადია, ტაში მათაც დაუკრეს - ეს გუნდი ხომ ახლახან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

თამაშიც კარგი გამოვიდა. პენალტი **შოთა არველაძემ** მოინაგრა, დარტყმა კი **გიორგი დემეტრაძემ** შეასრულა უზადოდ.

მოედანზე ვარსკვლავები აგორებდნენ ბურთს, მობერებულები, წონაში მომატებულები, მაგრამ ისევ ნიჭიერები და თვალისმომჭრელები.

ასეთი მატჩი საჭირო იყო - განსაკუთრებული ემოციები მოაქვს და, რაც მთავარია, ხალხი მოჰყავს სტადიონზე.

კალაძემ პირველი ტაიმი „მილანის" შემადგენლობაში ითამაშა, შესვენების შემდეგ კი - მეგობრების გუნდში.

„მილანმა" **პიპო ინძაგის** პენალტით გაათანაბრა, შემდეგ **ანდრეი შევჩენკომ** გამოიდო თავი, წერტილი კი 54 წლის **პიეტრო ვიერხოვოდმა** დასვა.

მთლად ამხანაგური შეხვედრა არ გამოვიდა, მილანელებმა უფრო მოინდომეს, მეტი ირბინეს და გაიმარჯვეს.

კალაძემ მოედანს წრე დაარტყა, მთელ პერიმეტრზე შემოურბინა მინდორს, ყველა ტრიბუნაზე მყოფ მაყურებელს მადლობა გადაუხადა - ის ხომ ფეხბურთს მათთვის თამაშობდა. სწორედ ეს იყო ამ საღამოს კულმინაცია.

მოედანზე გავიდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა: *„კალაძე პოლიტიკაში იმიტომ მოვიდა, რომ საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყო, იქ დადგა, სადაც საქართველოს დასჭირდა, ის არავისზე ნაკლები მინისტრი არ არის. დიდი მადლობა მას, პოლიტიკიდანაც ასეთი ტაშით გაგვეცილებინოს,"* - ასეთი შინაარსის იყო ივანიშვილის სიტყვა.

„მილანის" სპორტულმა დირექტორმა **ადრიანო გალიანიმ** აღნიშნა, რომ ასეთი მატჩი ყოველთვის ტოვებს სენტიმენტებს, კალაძემ ეპოქა შექმნა და ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრათო.

ბოლოს კალაძის ჯერი დადგა, ყველას მადლობა გადაუხადა, თვალები თანდათან ცრემლით ევსებოდა, ფეხბურთელის კარიერა ისე დავასრულე, დედაჩემი არც ერთ მატჩზე არ მოსულა, დღეს კი აქ არის და მასაც დიდ მადლობას ვეუბნებიო...

მერე იყო ლამაზი ფოიერვერკი და საამატჩოდ შექმნილი სიმღერა კალაძეზე.

ოთხი ნომერი, რომელმაც ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, რომელიც სამტრედიიდან „მილანში" აღმოჩნდა - კახა კალაძე სამაგალითო კაცია.

**დავით თავართქილაძე**



თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტორეპორტაჟი



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი ფაბიო კანავარო იყო, რომელმაც ასეთი ვარდნა ბევრჯერ შეასრულა. ბურთით ანდრეი შევჩენკო





ლევან კობიაშვილი (ბურთით) და ფედერიკო ჯუნტი

PREMIUM AUTOPARTS
პრემიუმ ავტონაწილები
NGK Continental CONTITECH BILSTEIN TEXTAR
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
მის:. ხოშარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. II ტური

# სან პაულომ რიოს აჯობა

## ლუანების განსხვავებული ემოციები

**ატლ. პარანაენსე-კრუზეირო 2:2**

**გოლები:** 1:0 პედრო ბოტელიო (7), 2:0 მანოელი (29), 2:1 დედე (43), 2:2 ლუანი (46)

**ბოტაფოგო-სანტოსი 2:1**

**გოლები:** 1:0 ფელიპე გაბრიელი (15), 2:0 რაფაელ მარკეში (22), 2:1 მონტილიო (72)

**სან პაულო-ვასკო 5:1**

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (61), 2:0 ალოიზიო (69), 3:0 ტიაგო კარლეტო (73), 4:0 ლუიშ ფაბიანო (75), 4:1 დაკსონი (83), 5:1 ლუანი (85-საკ. კარში)

**ფლამენგო-პონტე პრეტა 0:2**

**გოლები:** 0:1 ვილიამი (26), 0:2 სისინიო (74)

**ნაუტიკო-ვიტორია 0:3**

**გოლები:** 0:1 ბიანკუჩი (13), 0:2 ედსონ მაგალი (45), 0:3 ბიანკუჩი (50)

**გოიასი-კორინთიანსი 1:1**

**გოლები:** 1:0 ემანდო (38), 1:1 გილერმე (87)

**ინტერნასიონ.-კრისიუმა 2:0**

**გოლები:** 1:0 ვილიანსი (14), 2:0 როდრიგო მოლედო (16)

**ბაია-კორიტიბა 0:0**

**10 ივნისი**

ატლ. მინეირო-გრემიო

**13 ივნისი**

პორტუგეზა-ფლუმინენსე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან პაულო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. კრუზეირო | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| 3. ვიტორია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 4. ინტერნასიონ. | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5. ბოტაფოგო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. კორიტიბა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. გრემიო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 8. ფლუმინენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 9. კრისიუმა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 10. პონტე პრეტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11. ვასკო და გამა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 12. კორინთიანსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 13. ატლ. პარანაენ. | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14. სანტოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 15. ბაია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16. ფლამენგო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 17. გოიასი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 18. ატლ. მინეირო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 19. პორტუგეზა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 20. ნაუტიკო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - ბიანკუჩი (ვიტორია); 2 - ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ნილტონი (კრუზეირო), რაფაელ მარკეში (ბოტაფოგო), მანოელი (ატლეტიკო პარანაენსე)



მაქსი ბიანკუჩი ბომბარდირებში გალიდერდა

ბრაზილიის ჩემპიონატში მეორე ტური გაიმართა, თუმცა არასრულად - „ატლეტიკო მინეირო“-„გრემიო“ და „პორტუგეზა“-„ფლუმინენსე“ მომდევნო თვისთვის გადაიდო. **ნეიმარის** გარეშე პირველი მატჩი ჩაატარა „სანტოსმა“ და პირველი მარცხიც განიცადა. „ბოტაფოგო“ ამ მატჩის ფავორიტად ითვლებოდა და მასპინძლები 22-ე წუთისთვის უკვე 2:0-ს იგებდნენ. მართალია, ამ შეხვედრაში არ უთამაშია **კლარენს ზეედორფს**, მაგრამ **ოსვალდო დე ოლივეირას** შეგირდებმა მაინც იოლი გამარჯვება მოიპოვეს. სტუმართა მხრიდან გამოირჩეოდა **ვალტერ მონტილიო** და საბოლოოდ, არგენტინელმა გოლის გატანაც მოახერხა, თუმცა ეს იყო და ეს, მეტი „სანტოსმა“ ვერაფერი შეძლო და სან პაულოს შტატის ჩემპიონატის ფინალისტი, რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონთან დამარცხდა.

ახალი გუნდის რიგებში თავისი პირველი გოლი გაიტანა **დედემ**. „ვასკო და გამას“ ყოფილმა ლიდერმა და კაპიტანმა, 43-ე წუთზე სხვაობა შეამცირა, 46-ეზე კი წონასწორობა **ლუანმა** აღადგინა. იქამდე, „კრუზეირო“ უშანსოდ აგებდა და რომ არა დედეს გოლი, არავინ იცის, მოახერხებდა თუ არა ქულის აღებას. „ატლეტიკო პარანაენსე“ პრიმერა დივიზიონიდან სამშობლოში დაბრუნებულმა **პედრო ბოტელიომ** („რაიო ვალეკანოს“ და „ლევანტეს“ ყოფილი ფეხბურთელი) დააწინაურა, მეორე გოლი კი **მანოელმა** გაიტანა. სხვათა შორის, „ატლეტიკოში“ ირიცხება კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც პრიმერას და ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად უნდა ახსოვდეთ. საუბარი ერთ დროს უნიჭიერეს ფეხბურთელად მიჩნეულ **ფრან მერიდაზე** გვაქვს, რომელიც „ბარსელონას“ აღზრდილი გახლავთ, მაგრამ 15 წლის ასაკიდან „არსენალში“ ირიცხებოდა. ბოლოს მერიდა ესპანეთის მეორე დივიზიონის „ერკულესში“ თამაშობდა, საიდანაც „ატლეტიკო პარანაენსეში“ გადავიდა. მერიდას „კრუზეიროს“ წინააღმდეგ არ უთამაშია.

### ბიანკუჩი მოწოდების სიმაღლეზეა

**ლიონელ მესის** ბიძაშვილი (დედის მხრიდან) **მაქსი ბიანკუჩი** კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. 28 წლის ფეხბურთელმა პირველ ტურში ერთი გოლი გაიტანა, რომელიც 2013 წლის „ბრაზილეირაოს“ პირველი გოლი გამოდგა, ამჯერად კი თავი უკვე დუბლით გამოიჩინა. „ვიტორია“ რესიფეს ეწვია და შარშან შინ შესანიშნავად მოთამაშე „ნაუტიკო“ მიწასთან გაასწორა. ბიანკუჩიმ გოლები მე-13 და 50-ე წუთებზე გაიტანა, შუაში კი თავი 21 წლის **ედსონ მაგალმა** გამოიჩინა, ვისთვისაც ეს პირველი გოლი იყო კარიერაში. შესრულებული დუბლის წყალობით, მაქსი ბიანკუჩი სერია A-ს ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად გალიდერდა.

„ვიტორიასთან“ პირველ ტურში ნათამაშები ფრის შემდეგ (2:2), პირველი მატჩი მოიგო „ინტერნასიონალმა“. **დუნგას** გუნდის მეტოქე „კრისიუმა“ იყო, რომელიც სერია A-ს 9-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და პირველ ტურში „ბაია“ დაამარცხა. ამ წყვილში ფავორიტი აშკარა იყო და მასპინძლებმა საქმე მე-16 წუთისთვის მოითავეს. **ანდრეს დალესანდროს, დიეგო ფორლანს** და **რაფაელ მოურას** არ გაუტანიათ, სამაგიეროდ თავი „უდინეზედან“ დაბრუნებულმა **ვილიანსმა** და მცველმა, **როდრიგო მოლედომ** გამოიჩინეს.

### შერცხვენილი გრანდები

„ვასკო და გამა“ და „ფლამენგო“ ჯერ კიდევ კარიოკას (რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი) დროს შერცხვნენ, როდესაც მეორე ეტაპზე ჯგუფში ჩარჩნენ. მათმა სუსტმა ასპარეზობამ გვაფიქრებინა, რომ გრანდებს ჩემპიონატშიც გაუჭირდებოდათ და ჯერჯერობით, ჩვენი მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება. „ვასკომ“ პირველ ტურში კი მოიგო, მაგრამ მისი მეტოქე დებიუტანტი „პორტუგეზა“ იყო, ამჯერად კი **პაულო აუტორის** გუნდი „სან პაულოს“ ესტუმრა და სასტიკად შერცხვა. აღსანიშნავია, რომ ერთი საათის შემდეგ ანგარიში 0:0 იყო, სამაგიეროდ 61-ე წუთზე გოლი **ლუიშ ფაბიანომ** გაიტანა და სტუმართა რბევაც აქ დაიწყო. ფაბიანომ დუბლი შეასრულა, თითო გოლი **ალოიზიომ** და **ტიაგო კარლეტომ** გაიტანეს, ერთი ბურთიც საკუთარ კარში **ლუანმა** ჩაჭრა. მოკლედ, ლუანებისთვის მეორე ტური აშკარად განსხვავებული გამოვიდა...

რიო-სან პაულოს კიდევ ერთი დაპირისპირება მინას ჟერაესის შტატში, ქალაქ ჟუის დე ფორაში, „ესტადიო მუნისიპალ რადიალისტა მარიო ელენიოზე“ შედგა, სადაც „ფლამენგომ“ „პონტე პრეტას“ „უმასპინძლა“. „პონტე პრეტამ“ სან პაულოს შტატის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, **ვილიამის** და ახალგაზრდა მცველის, **სისინიოს** გოლების წყალობით მოიგო. „ფლას“ ორი ტურის შემდეგ გოლი არ აქვს გატანილი და თუ სიტუაცია დროულად არ შეიცვალა, ვშიშობთ, რომ ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ გუნდს, ლიგიდან გავარდნის საფრთხე სერიოზულად დაემუქრება.

ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

# 11 მეტრი ნახევარფინალამდე

**ატლ. მინეირო-ტიხუანა 1:1 (2:2)**

**გოლები:** 0:1 რიასკოსი (26), 1:1 რევერი (41)

**ატლ. მინეირო** (4-2-3-1): ვიქტორი - მარკოს როჩა (77. ჟოსუე), რევერი, ლეონარდო სილვა, რიჩარლისონი - ლეანდრო დონიზეტი, პიერი - ბერნარდი (66. ლუანი), რონალდინიო, დიეგო ტარდელი - ჟო (88. ალეკსანდრო).

**ტიხუანა** (5-3-2): საუსედო - ხ. ნუნიესი, პ. აგილარი, განდოლფი, ო. ორტისი (46. ფ. მარტინესი), ე. კასტილიო - ფ. არსე, პელერანო, რ. რუისი (82. დ. მარკესი) - ა. მორენო (62. პისენო), რიასკოსი.

**გამოუყენებელი პენალტი:** რიასკოსი (90+3. ტიხუანა)

**გაძევება:** რევერი (90+5. ატლეტიკო მინეირო)

**ბომბარდირები:** 6 - დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო), ჟო (ატლეტიკო მინეირო); 5 - ფრედი ბარეირო (ოლიმპია), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბრიან როდრიგესი (უაჩიპატო), ხუან მანუელ სალგეირო (ოლიმპია), იგნასიო სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი)



ვიქტორმა „ატლეტიკო“ წაგებისგან იხსნა

„ატლეტიკო მინეიროსთან“ გამართული ორივე მეოთხედფინალის ბოლო წამები „ტიხუანასთვის“ კოშმარული გამოდგა. პირველ შეხვედრაში, როდესაც მასპინძლები 2:1-ს იგებდნენ, „ატლეტიკომ“ ანგარიში 92-ე წუთზე გაათანაბრა (**ლუანი**), საპასუხო მატჩში კი 93-ე წუთზე, მექსიკელებმა 11-მეტრიანის გატანა ვერ შეძლეს. მატჩის ანტიგმირი **დუვიერ რიასკოსი** გახდა, გმირის მანტია კი **ვიქტორმა** მოირგო - მეკარე თავისგან მარჯვნივ გადახტა, მაგრამ ცენტრში დარტყმული ბურთის მოგერიება ფეხით მაინც მოახერხა, საკუთარი გუნდი სასწაულებრივად იხსნა და 1/2 ფინალში გაიყვანა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პენალტი, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო ვითარებაში დაინიშნა და ამიტომაც იყო, რომ რიასკოსის დარტყმის შემდეგ, „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი არა მეკარისკენ, არამედ მსაჯისკენ გაიქცა. საბოლოოდ, მატჩის დასრულების შემდეგ, **რევერმა** წითელი ბარათიც მიიღო და ის 1/2 ფინალის პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

თავად მატჩზე კი სათქმელი ბევრი არაფერია. თავიდან, დაწინაურება სტუმრებმა მოახერხეს - გოლი სწორედ **რიასკოსმა** გაიტანა. ამის შემდეგ, უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და 41-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა - **რონალდინიომ** სტანდარტული შეასრულა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას რევერმა დაასწრო, 1:1. სხვათა შორის, 28 წლის მცველმა ლიბერტადორესზე უკვე მეორე გოლი გაიტანა, სულ კი წელს მის ანგარიშზე 7 ბურთია (5 შტატის პირველობაზე). მოკლედ, გოლები იმ ფეხბურთელებმა გაიტანეს, ვინც საბოლოოდ უარყოფითი საქციელით გამოირჩა. მასპინძლებს გოლის გატანის შანსები ამის მერეც ჰქონდათ, თუმცა დაცვაში არც „ტიხუანა“ დამდგარა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. საბოლოოდ, 1:1 და „ატლეტიკო“ მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც არგენტინულ „ნიუელს ოლდ ბოისს“ დაუპირისპირდება. პირველი შეხვედრა 3 ივლისს არგენტინაში გაიმართება, საპასუხო კი 10 ივლისს. იმავე დღეებში ითამაშებენ „სანტა ფე“ და „ოლიმპია“, პირველი თამაში პარაგვაიში ჩატარდება, ერთი კვირის მერე კი კოლუმბიაში.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ანკარის ტურნირი

# ბრინჯაოს მონაგარი

გუშინ ანკარაში დაიწყო ახალგაზრდების დიდი საერთაშორისო ტურნირი „ჩემპიონები", რომელიც მუდმივად ძლიერი შემადგენლობით გამოირჩევა და სახელწოდებასაც ამართლებს – აქ მართლაც ბევრ მომავალ დიდ ჩემპიონს დაუწყია კარიერის მწვერვალისკენ სვლა.

იქ ჩვენებიც ყოველთვის კარგად გამოდიან, თუმცა გუშინდელი დღე ქართველი ახალგაზრდებისთვის არც ისე წარმატებული აღმოჩნდა – ჩვენებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო მოიპოვეს, რაც ბერძენ-რომაელთა შორის მოასპარეზე **ფირუზ წულუკიძემ** (66) შეძლო. ამასთან, კიდევ რამდენიმემ ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა, თუმცა წააგეს და ხელცარიელნი დარჩნენ. მათ გუნდურ ჩათვლაში ქულები კი მოგვცეს, მაგრამ ამგვარ შეჯიბრებებში მთავარი მაინც მედალია. თან გულდასაწყვეტია, რომ არც ისე მაღალი დონის ჭიდაობა აჩვენეს და მეტოქეებმა აჯობეს, მსაჯებს ამ კონკრეტულ წაგებებში ვერ დავადანაშაულებთ.

ფირუზ წულუკიძე ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონია, რაც ბოლო წლებში ჩვეულებრივი ამბავი გახდა – მას თანატოლებში პირველობას ვერავინ ეცილება. ანკარაშიც მესამე ადგილისთვის მასპინძელთა წარმომადგენელთან, მთლიანობაში, საკმაოდ გამართულად, ძლიერად ჭიდაობს და ცოტა გასაკვირია, უფრო მასშტაბურ წარმატებებს რატომ ვერ აღწევს. შეგახსენებთ, რომ ის ბოლო წლებში მუდმივად შედის ეროვნული ნაკრების კანდიდატებში და უფროსებში საქართველოს პრიზიორიც სტაბილურად ხდება. ვიმედოვნებთ, შორს არაა ის დღე, როცა მთავარ გუნდში დაიმკვიდრებს ადგილს და ტავის ნიჭს ბოლომდე გამოიყენებს.

სამწუხაროდ, თურქეთი იმ ქვეყნების რიცხვში შედის, რომელთა ტერიტორიაზე გამართულ შეჯიბრებებს მსაჯთა არაობიექტურობა თან სდევს. გასაგებ მიზეზთა გამო, ამ ტურნირის პირდაპირი რეპორტაჟისას ყველა შეხვედრის ნახვა ჭირდა, მაგრამ ჩვენებიდან ვისაც ვუყურეთ, ყველაზე უფრო თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ბექა ბუჯიაშვილი** (55) შეგვეცოდა – ის ნამდვილად გახდა არბიტრთა მსხვერპლი. ჩვენმა მწვრთნელებმა ბევრი კი იკამათეს, თან ისე აქტიურად, ვიფიქრე, ჯარიმას არ გამოჰკრან ხელი-მეთქი, მაგრამ ამაოდ – ჭიდაობის სამყარო თავისი უცნაური მსაჯობით კვლავაც აუღებელ ციხე-სიმაგრედ რჩება...



მოასპარეზე ქართველებიდან ის ერთადერთი იყო, ვინც კონკურენტი ყველაფერში დაჯაბნა. დამამშვიდებლის ფინალში მას ადგილობრივ ფალავანთან მოუწია პაექრობა და ცოტა დააკლდა, მსაჯთა მსახვრალი ხელიც არ იწვნია. პაექრობამ რამდენჯერმე შეჩერდა თურქთა პროტესტის გამო, მეორე პერიოდში ერთ-ერთ ეპიზოდს არბიტრები ძალიან დიდხანსაც არჩევდნენ, თუმცა, საბედნიეროდ, წულუკიძის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, მსაჯები ვერაფერში მიედავნენ და, პირიქით, მეტოქე დასაჯეს ქულით ცრუ პროტესტისთვის. წულუკიძემ ყველაფერი გაუკეთა მოწინააღმდეგეს, რისი საშუალებაც მიეცა, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერად ჩოქბჯენიდან დატრიალებებში გამოიყურებოდა, რაც ჩვენი „აქილევსის ქუსლია" და ამ ტურნირზე სხვებისთვის სუსტ წერტილად იქცა – ჩოქბჯენიდან არც ერთხელ არ დაუკარგავს თავისი შანსი. მეორე პერიოდის ზემოხსენებული ეპიზოდის განახლებისთანავე თურქმა ზუსტად იმ „ავაზას ნახტომით" მოუნდომა თავზე გადახტომა, რომელსაც უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ზურაბ დათუნაშვილი** (74) აკეთებს ასე კარგად, ადგილიდან ახტომით დიდი სიმაღლეც აიღო და თავზე უნაკლოდ გადაახტა, მაგრამ წულუკიძე მომზადებული დაუხვდა და თვითონ გადაისროლა იქით. ბათუმელმა ფალავანმა პირველ შეხვედრაშიც დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა ისევ ბერძენ-რომაელთაგან ბრინჯაოსთვის **ხვიჩა ჭითავამ** (66) და **კუკური კირცხალიამ** (96) იჭიდავეს, „თავისუფალთაგან" - **ნიკა ტატუაშვილმა** (50). სამწუხაროდ, შანსი ვერც ერთმა ვერ გამოიყენა. მაგალითად, ჭითავამ შეხვედრის დამატებით პერიოდში გადაყვანის ჩინებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, როცა მეორე პერიოდში ჩოქბჯენიდან ვერ დაატრიალა მეტოქე. არადა, სამჯერ აქაჩა ლეიბიდან, მაგრამ ვერ გადააგდო. კირცხალიაც ყველა კომპონენტში დაჩაგრა მასპინძელმა **ალი ულვი ჩეთინმა**. ტატუაშვილმა კი იბრძოლა **ემრე დემირცანთან**, მეორე პერიოდში ორჯერ ორქულიანზეც გადაატრიალა, მაგრამ თვითონაც იოლად უთმობდა ფანდებს და ეს პერიოდი 4:6 მაინც წააგო.

დასასრულს, იმასაც გეტყვით, რომ რატომღაც თურქები ამ ტურნირს ისევ ძველი წესებით ატარებენ, რაც ცოტა გასაკვირია. არადა, ბერძენ-რომაელებმა ახალ წესებთან ადაპტაციის მიზნით თურქეთში ძირითადი შემადგენლობა წაიყვანეს, თუმცა ამ ეტაპზე მათი ჭიდაობა არ იგეგმებოდა. ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო რამდენიმე ფალავანი ზედა წონაში გამოდის. მათ შორის – ჭითავაც.

ანკარის „ჩემპიონთა" ტურნირი ხვალ დასრულდება და, იმედია, დარჩენილ ორ დღეში ჩვენები ბევრად უფრო წარმატებით იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

## გიწვევთ „ლელოს" დარბაზი

თუ გსურთ ჩაატაროთ პრესკონფერენცია, შეხვედრა, სხდომა ან სხვა მცირე მასშტაბის ღონისძიება, თქვენს განკარგულებაშია „ლელოს" სასტუმრო დარბაზი მომსახურების თანამედროვე შესაძლებლობებით.

საკონტაქტოდ ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული საშუალებებით.

სამბო



# მიშიკო აბაშიძის ტურნირი

1996 წლიდან თერჯოლაში სისტემატურად ტარდება სამბოში, ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში ცნობილი ფალავნის მიშიკო აბაშიძის ხსოვნის ტურნირი. წლეულს ასპარეზობაში 1999-2001 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ ქვეყნის ქალაქებიდან და რაიონებიდან.

## კვარცხლბეკი

**26 კგ.** 1. დათო დგებია (ფოთი), 2. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 3. ლუკა კოვზირიძე (თერჯოლა), ირაკლი ალფაიძე (ვანი).

**29 კგ.** 1. გიორგი ბედოშვილი (ხაშური), 2. ირაკლი შეყრილაძე (ვანი), 3. ჯემალი ბეჟანიშვილი (ხაშური), აკაკი კვატანია (ფოთი).

**32 კგ.** 1. ზურაბ ხაჩიძე, 2. ნიკა ნოზაძე (ორივე — ხაშური), 3. შალვა ხურციძე, დათო ჯოყოლიძე (ორივე — ვანი).

**35 კგ.** 1. თამაზ კვერნაძე (თერჯოლა), 2. გიორგი გიორგაძე (ვანი), 3. ვიტალი ქაქუთია (ფოთი), გოჩა ხუსკივაძე (ზესტაფონი).

**38 კგ.** 1. ანდრო არზიანი (ფოთი), 2. მიშიკო ნოზაძე (ხაშური), 3. ბექა სანაია (ფოთი), გიორგი ვაშაყმაძე (ვანი).

**41 კგ.** 1. ნოდარ გელაშვილი (ხაშური), 2. თენგიზ გედენიძე (ფოთი), 3. თემური აბუთიძე, მიხო კაკაურიძე (ორივე — ქუთაისი).

**44 კგ.** 1. გაგა ბახტიძე (ზესტაფონი), 2. არჩილი ნადირაძე (ვანი), 3. ომარი ჭუმბურიძე (თერჯოლა), დათო კიბორძალიძე (ქუთაისი).

**48 კგ.** 1. გიორგი ნარსია (ფოთი), 2. დავითი დათიაშვილი (ხაშური), 3. ბაჩუკი კაციტაძე (ფოთი), გიორგი ბაკურიძე (ზესტაფონი).

**52 კგ.** 1. ოთარ ოჩიგავა (ფოთი), 2. ბაქარი ზარნაძე (თერჯოლა), 3. ლაშა კვარაცხელია (ფოთი), ალეკო პაპიაშვილი (ხაშური).

**56 კგ.** 1. გიგა ბუცხრიკიძე (თერჯოლა), 2. შალვა საჯაია (ქუთაისი), 3. ნიკა ჩაფიძე (ზესტაფონი), ლევან გურგენიძე (თერჯოლა).

**60 კგ.** 1. ნიკა მერკვილიშვილი (ზესტაფონი), 2. მამუკა ვასაძე (ქუთაისი), 3. ზურაბ ჯანელიძე (თერჯოლა), მურად კაპანაძე (ვანი).

**65 კგ.** 1. გურამ იაძე, 2. შათირ შერაზადაშვილი (ორივე — ხაშური), 3. ნოდარი ჯინჯიხაძე (ქუთაისი), ჯონი სტეფნაძე (ხაშური).

**70 კგ.** 1. ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი), 2. გიორგი ბაქრაძე (ვანი), 3. ერეკლე ზარნაძე, ონისე ხვარეშია (ორივე თერჯოლა). **75 კგ.** 1. ბაქარ უკლება, 2. ნოდარი ჭანტურიძე (ორივე — თერჯოლა), 3. გიორგი ნოდია (ზესტაფონი), ვახტანგი შოთაძე (თერჯოლა).

**+ 75 კგ.** 1. გიორგი ნინიკაშვილი (ზესტაფონი), 2. სოსო სვანაძე (ქუთაისი), 3. გიორგი დვალიშვილი, 3. ბექა გენელიძე (ორივე — ვანი).

მიშიკო აბაშიძის სახელობის თასი გადაეცა სამბისტს **თამაზ კვერნაძეს.**

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ თერჯოლის სასპორტო სკოლის (დირექტორი **რამინ რობაქიძე,** შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

**ტატო ჩარექიშვილი**

ძალოსნობა

# კვიცები გვარზე ხტიან

რვა ქალაქისა და რაიონის 90-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა 17-წლამდელ ძალოსანთა საქართველოს პირველობაში (მთავარი მსაჯი **ზურაბ ანთაური**), რომელსაც გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრის დარბაზმა უმასპინძლა. ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, რომ ამ შეჯიბრებას მოუთმენლად ელოდნენ მწვრთნელები და სპეციალისტები, რადგან მას სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციასთან ერთად უნდა წარმოეჩინა ის ახალგაზრდები, რომლებიც გაისად წარმატებით გაიკაფავენ გზას საერთაშორისო სარბიელისკენ. უნდა ითქვას, რომ პირველობამ მოლოდინი გაამართლა — რამდენიმე იმედისმომცემი ჭაბუკი გამოჩნდა. განსაკუთრებით 16 წლის ქუთაისელი **დავით ხეცურიანი** და მისი თანატოლი ზუგდიდელი **გიორგი ჩხეიძე** უნდა გამოვყოთ, რომლებმაც ორჭიდში, შესაბამისად, 282 და 275 კილოგრამი მოაგროვა. სპეციალისტების აზრით, ორივეს ერთი წლის შემდეგ ევროპულ სარბიელზე საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა შეეძლებათ.

გულშემატკივართა და მწვრთნელთა ყურადღება 10 წლის ბიჭებმა — ოლიმპიური ჩემპიონის — გიორგი ასანიძისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ზურაბ ანთაურის ვაჟებმა მიიპყრეს. ორივე 10 წლისაა და ორივეს საბა ჰქვია. ასანიძემ (30 კგ) ორჭიდში 60, ხოლო ანთაურმა (37 კგ) 64 კილოგრამი დაძლია.

## კვარცხლბეკი

**40 კგ.** 1. ლომია თებიძე (აჭარა, 103 კგ), 2. ირაკლი გობეჯიშვილი (ქუთაისი, 98), 3. ვეფხია თებიძე (აჭარა, 96).

**45 კგ.** 1. ვიტალი სირაძე (114), 2. გიორგი დოკვაძე (ორივე — საჩხერე, 113), 3. ალკაზარ გოგიტიძე (აჭარა, 103).

**50 კგ.** 1. გიორგი თოდაძე (139), 2. გოგა ბერძელიძე (ორივე, — საჩხერე, 138), 3. ედუარდ კაკაბაძე (ქუთაისი, 128).

**56 კგ.** 1. გოდერძი ბერძელიძე (საჩხერე, 185), 2. შოთა ომარაშვილი (თბილისი, 171), 3. ირაკლი ჩხეიძე (ზუგდიდი, 166).

**62 კგ.** 1. გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი, 208), 2. რეზო დავითაძე (თბილისი, 185), 3. გოგიტა კაკიაშვილი (აჭარა, 182).

**69 კგ.** 1. ავთანდილ დევაძე (აჭარა, 208), 2. ვახტანგ ვეკუა (ზუგდიდი, 207), 3. დავით არეშიძე (თბილისი, 203).

**77 კგ.** 1. ირაკლი ჯალაღონია (ზუგდიდი, 220), 2. თორნიკე გლუნჩაძე (ხაშური, 211), 3. თედო თოდაძე (საჩხერე, 170).

**85 კგ.** 1. ნიკა წიკლაური (თბილისი, 217), 2. გიგა ბოგვერაძე (ხაშური, 210), 3. მამუკა ალიშანიძე (აჭარა, 195).

**94 კგ.** 1. დავით ხეცურიანი (ქუთაისი, 282), 2. თორნიკე კვინიკაძე (ხაშური, 135), 3. ნიკა ნოზაძე (საჩხერე, 110).

**+94 კგ.** 1. გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი, 275), 2. ლევან ქარციძე (ქუთაისი, 245), 3. რამინ გოგიტიძე (აჭარა, 185).

**გუნდური.** 1. ზუგდიდი (105 ქულა), 2. აჭარა (105), 3. საჩხერე (102).

ჭაბუკთა პირველობის დასრულების შემდეგ რამაზ გურგენიძეს ეროვნული გუნდის მზადების გეგმებზე დავვეკითხეთ.

— მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრებს გიორგი ასანიძე ჩაუდგა სათავეში. ამჟამად გუნდი დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. ბიჭები წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ამ შეჯიბრებას 14-24 ოქტომბერს პოლონური ვროცლავი უმასპინძლებს სადაც, ალბათ, რვაკაციანი ნაკრებით გავემგზავრებით. ქვეყნის მთავარ გუნდს 11 ივნისიდან 3 ივლისამდე ახალგაზრდები და ჭაბუკებიც შეუერთდებიან. 4-6 ივლისს ზუგდიდში 20-წლამდელთა საქართველოს პირველობა გაიმართება. სექტემბერში ტალინი 20 და 23-წლამდელთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ნაკრებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ გახოკიძე და ზურაბ ანთაური მოამზადებენ.

**ვაჟა დანელია**


გიწვევთ!

სპორტულ ჟურნალისტთა გამოვლენისა და მათთან შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, „ლელო" პარასკევს, 8 მარტს, 17 საათზე ჩაატარებს მსურველებთან შეხვედრა-გასაუბრებას. შერჩეულები ამავე გაზეთში გაივლიან სტაჟირებას და ჩაერთვებიან ჟურნალისტურ საქმიანობაში. სასურველია მსურველებმა წარმოადგინონ თავიანთი პროექტი ან კონკრეტული რუბრიკა.

მისამართი: იოსებიძის 49; „პალიტრამედია". „ლელოს" რედაქცია




## მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადების 55 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ბატუტზე ხტომებში მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ბრწყინვალე პედაგოგს და პიროვნებას ბ-ნ ზაქარია სულაშვილს.

● თვის მონაგარი



# მაისი

**4. ფეხბურთი.** თბილისის „დინამომ“ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

**4-5. ძიუდო.** ბაქოს დიდ სლემზე ჩემპიონი **ლევან ნიკლაური** გახდა (81 კგ.), ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **შალვა ქარდავამ** (66), **ტრისტან ფეიქრიშვილმა** (66), **ზებედა რეხვიაშვილმა** (73), **ლევან მატიაშვილმა** (81).

**13. ბერძნულ-რომაული. ბეგი დარჩიას** ნაცვლად საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** გახდა. ჭაბუკთა მწვრთნელი კი **დავით ბედინაძე** გახდა.

**15. ჭადრაკი. ბელა ხოტენაშვილმა** ჟენევის გრან პრი მოიგო.

**18. ფეხბურთი.** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონი გახდა თბილისის „დინამო“. მეორე ადგილზე გორის „დილა“ გავიდა, მესამეზე - ქუთაისის „ტორპედო“.

**19. რაგბი.** ჰეინეკენის თასი **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩალიჩავას** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ მოიგო.

**20-21. სამბო.** ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 7 მედალი მოიპოვეს.

**22. ფეხბურთი.** საქართველოს თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ 3:1 მოუგო საჩხერის „ჩიხურას“ და „ოქროს დუბლი“ გაიფორმა.

**22 ფეხბურთი.** ევროპის 19-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრები 1:1 დაუზავდა ინგლისს.

**25. ძიუდო.** ტიუმენის მასტერსზე ადამ ოქრუაშვილმა (100+ კგ.) ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლები მოიგეს: **ამირან პაპინაშვილმა** (60), **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81), **ვალერი ლიპარტელიანმა** (90).

**26. კალათბურთი.** „შსს აკადემიამ“ ფინალური სერია 3:2 მოუგო „ოლიმპს“ და გახდა საქართველოს ჩემპიონი

**26. ფეხბურთი:** ევროპის 19-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიას 3:1 მოუგო.

**26. რაგბი.** საქართველოს ჩემპიონი გახდა „ლელო“, რომელმაც ფინალში „არმია“ 16:10 დაამარცხა.

**29. კალათბურთი.** „ოლიმპმა“ სუპერთასისთვის მატჩში „შსს აკადემია“ დაამარცხა - 90:72.

**29. ფეხბურთი:** ევროპის 19-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა 2:0 მოუგო ბელგიას და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

**30. ფეხბურთი.** პოლონეთის ჩემპიონის ტიტული „ლეგიასთან“ ერთად **ლადო დვალიშვილმა** მოიპოვა.

**31. ფეხბურთი.** ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს **კახა კალაძე.**

**მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ჩოგბურთი

# ანა წყვილებსაც გამოეთიშა

პარიზში საფრანგეთის ღია პირველობაზე გუშინ წყვილთა პაექრობაში ცდიდა ძალებს თბილისელი **ანა ტატიშვილი.** მე-2 წრეში იგი ბელარუს ოლგა გოვორცოვასთან ერთად მესამე ნომრად განთესილ ნადია პეტროვას (რუსეთი) და კატარინა სრებოტნიკის (სლოვენია) დუეტთან 75 წუთში დამარცხდა — 5:7, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

■ ■ ■

მოსკოვში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მე-6 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** სტარტზე გამარჯვების შემდეგ მეორე წრეში რუს მარგარიტა ლაზარევას აჯობა — 6:2, 6:1, მეოთხედფინალში კი მის თანამემამულე მარინა მელნიკოვას დანებდა — 1:6, 5:7. ფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტი კაგლა ბაიუკაკჩაი (თურქეთი) და კვალიფიკაციიდან ალზევებული ესტონელი ანეტ კონტავეიტი გავიდნენ.

ფინალისტები გამოვლინდნენ წყვილთა პაექრობაშიც. სოფიო შაფათავამ, რომელიც ბელარუს ილონა კრემენთან შეამხანაგებული, მეორე ნომრად იყო განთესილი, გადამწყვეტ რაუნდს ვერ უწია: პირველ წრეში შახლა საიდოვსა (რუსეთი) და ანა შკუდუნს აჯობა — 6:4, 6:3, მეოთხედფინალში კი დაძაბული პაექრობის შემდეგ მოსკოველ ნათელა ძალამიძისა და გერმანელ ანა ცაიას დუეტთან დამარცხდა — 6:7, 7:6, 4:10. მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ: კსენია კირილოვა, პოლინა მონოვა (ორივე — რუსეთი) — ევგენია პაშკოვა (რუსეთი), ანასტასია ვასილიევა (უკრაინა).

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# პირველ ათეულში ორი ქართველია

წუხელ ფიდემ თავის საიტზე გამოაქვეყნა საუკეთესო მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგი. სასიამოვნოა, რომ ქალთა პირველ ათეულში ორმა ქართველმა დაიდო ბინა. უფრო სწორად, წინა თვეების მაჩვენებლებით **ნანა ძაგნიძის** გვარი კარგა ხანია, ფიგურირებს ათეულში, მაისში მას 2545 პუნქტით მე-7 ადგილი ეკავა, ახლა 5 ერთეულით გაიმდიდრა მონაგარი და ერთი საფეხურით დაწინაურდა. **ბელა ხოტენაშვილმა** ამას წინათ ჟენევაში ფიდეს ქალთა გრან პრის პირველი ეტაპი მოიგო, რამაც მის მაჩვენებელს 26 პუნქტი შესძინა და ბელამაც მეთექვსმეტედან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა. პოზიციები დათმო ჩინელმა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ჰოუ იფანმა. წინა თვეში მისი რეიტინგი იყო 2617, მაგრამ გრან პრიზე სუსტი გამოსვლით 22 პუნქტი დაკარგა და მესამე საფეხურზე ჩამოქვეითდა, მეორე ადგილი ინდოელ ჰამფი კონერუს (2696) დაუთმო. საუკეთესო ასეულს უწინდებურად უნგრელი იუდით პოლგარი (უნგრეთი) უდგას სათავეში. ათეულში ასევე, არიან: ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2593), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2565), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2544), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2542) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2531).

ქალთა ასეულში, ძაგნიძისა და ხოტენაშვილის გარდა, კიდევ შვიდი ქართველია, რომლებმაც წინა თვესთან შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები განიცადეს: **32. ლელა ჯავახიშვილი** (2464), **48. ნინო ხურციძე** (2428), **50. სოფიკო გურამიშვილი** (2426), **52. სალომე მელია** (2423), **71. ნინო ბაციაშვილი** (2390), **77. სოფიკო ხუხაშვილი** (2383), **91. ნაზი პაიკიძე** (2368).

ვაჟთა საუკეთესო ათეულს ისევ მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2864) მეწინავეობს. ლიდერს 51 პუნქტით ჩამორჩება სომეხი ლევონ არონიანი (2813), მესამე-მეათე ადგილებს ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2803), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2786), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2784), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2784), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2782), ლექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2779), ფაბიო კარუანა (იტალია, 2774) და ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2760) ინაწილებენ. ასეულში ერთადერთი ქართველი დიდოსტატია - **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში ცუდად იასპარეზა და 2700-იანთა კლუბიც დატოვა. საპირველივნისო რეიტინგში 2688 პუნქტით 56-ე ადგილი უკავია.

20 წლის გოგონათა ასეულში 2368 პუნქტით მე-7 ადგილზეა **ნაზი პაიკიძე,** მას ორი საფეხურით ჩამორჩება **მერი არაბიძე** (2348), ხოლო **მარიამ დანელიას** (2252), რომელიც კარგა ხანია, ჩამოშორდა აქტიურ ჭადრაკს, 30-ე ადგილი უკავია. ასეულის სათავეშია ჩინელი ჰოუ იფანი (2595). ვაჟებში ჩვენებურთაგან ერთადერთი მოჭადრაკეა - **ზურაბ ჯავახაძე,** რომელსაც 2450 პუნქტი მხოლოდ 85-ე ადგილისთვის ეყო. აქ ჰოლანდიელი ანიშ გირი (2734) ლიდერობს.



ბელა ხოტენაშვილი

**ვაჟა დანელია**



სალომე მელია

# მელია დაწინაურდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატი. გუშინ მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. **სოფიკო ხუხაშვილმა** შავი ფიგურებით **ლიკა კობეშავიძე** დაამარცხა, **სალომე მელიამ მერი არაბიძეს** აჯობა, ხოლო **სოფიკო გურამიშვილმა ანა კუჭავას** სძლია. დაზავდნენ **მაკა ფურცელაძე — ნინო ბაციაშვილი, ნინო ხურციძე — მაია ლომინეიშვილი. ინგა ხურცილავას** და **სოფიო გვეტაძის** პარტიაში 139 (!) სვლა გათამაშდა, მაგრამ თეთრებმა მატერიალური უპირატესობის რეალიზება ვერ შეძლეს და შეხვედრაც ზავით დასრულდა.

ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულით სალომე მელია დაწინაურდა. 3.5-3.5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ხურციძე, ფურცელაძე და გურამიშვილი იყოფენ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ლომინეიშვილი, ხუხაშვილი, ხურცილავა-3-3, ბაციაშვილი-2,5, გვეტაძე-2, არაბიძე, კუჭავა-1-1, კობეშავიძე-0,5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: ბაციაშვილი — მელია, კუჭავა — არაბიძე, ლომინეიშვილი — გურამიშვილი, გვეტაძე — ხურციძე, ხუხაშვილი — ხურცილავა, ფურცელაძე — კობეშავიძე.

**ვაჟა დანელია**

# ნტნ-მა 14-წლიანებში იმარჯვა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში სახელოვანი მოჭადრაკეების აღმზრდელი მწვრთნელის — ვახტანგ ქარსელაძის ტრადიციულ მემორიალში სხვადასხვა ასაკის გოგო-ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდები ჩაებნენ. ასპარეზობა უკვე დაასრულეს 14-წლიანებმა. პირველ ადგილზე გავიდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის წარმომადგენლები (**კოკა ბუკია, კობა ჩოქური, სალომე სანიკიძე, სალომე ხუცურაული,** მწვრთნელი **დავით გურგენიძე**). მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, გორის გუნდმა (მწვრთნელი **ოთარ დოლიძე**) და თბილისის „აისმა“ (**გოგი მაჭარაშვილი**) დაიკავეს.

**ვაჟა დანელია**

● კალათბურთი

ქართველი უკრაინაში




# ცინცაძე უკრაინის ჩემპიონია!

რუსეთისა და ესტონეთის შემდეგ **გიორგი ცინცაძემ** უკრაინის ჩემპიონობა მოიპოვა. მისმა „ბუდიველნიკმა“ ფინალური სერიის მეშვიდე მატჩში 80:72 დაამარცხა „აზოვმაში“ და სანუკვარ ჯილდოსაც დაეუფლა. სერია 4:3 დასრულდა.

გიორგი ტრადიციულად გაუძლვა „ბუდიველნიკს“ გამარჯვებისკენ - გუშინდელ შეხვედრაში 25 წუთი ითამაშა, 3 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა.

უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად ცინცაძის ამერიკელი თანაგუნდელი **მალკოლმ დილეინი** დასახელდა, რომელმაც მეშვიდე ფინალში 19 ქულა ჩააგდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი საბერძნეთში

# ლოგიკურად

საბერძნეთის პირველობის მეორე ნახევარფინალური მატჩი ჩაატარა **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა“ და „აგორთან“ ამჯერადაც მოიგო - 87:72. ამ წარმატების შემდეგ პირეოსელები სერიაში 2:0 დაწინაურდნენ და ფინალამდე ერთი მოგებაღა აშორებთ.

შერმადინმა „აგორის“ წინააღმდეგ საშინაო შეხვედრაში 6 წუთი ითამაშა და 2 მოხსნა მიითვალა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი შერმადინი

● თარიღები და მოვლენები

## 01-03 ივნისი

**1-2. 06. 2012. მხ. ტანვარჯიში.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (**სალომე ფაჟავა, სოფიო ფარულავა, გაბრიელა ხვედელიძე**) მე-3 ადგილი დაიკავა.

**01. 1935.** დაიბადა **თამაზ ანთაძე** — ხელბურთი. გარდაიცვალა 2002 წელს

**01. 1967.** დაიბადა **ლევან ებანოიძე** — სუმო

**01. 1958.** დაიბადა **ზაურ სულაშვილი** — აკრობატიკა

**02. 1927** დაიბადა **ლევან ინწკირველი** — კალათბურთი. გარდაიცვალა 2010 წელს

**03. 1928.** დაიბადა **სერგო გაბარაევი** — თ\ჭ

**03. 2011. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ხორვატიაში ადგილობრივი ნაკრები 1:0 დაამარცხა.

**03. 2011. ფეხბურთი.** ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები ხორვატიასთან 1:2 დამარცხდა

**03-04. 2011. ძიუდო.** ბუქარესტის მსოფლიო თასზე ქართველებმა 4 მედალი მოიხვეჭეს. ჩემპიონები **ბეთქილ შუკვანი, ავთანდილ ჭრიკიშვილი** და **ზვიად გოგოჭური** გახდნენ, **ზვიად ხანჯალიაშვილმა** კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ლელოს სტუმარი

## გიორგიოს კეცელიდისი

# მწვრთნელი იმისთვისაა, თითოეული შეგირდის მენტალიტეტი შეიცნოს

საქართველოს ჩემპიონი „შსს აკადემია“ გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო და მადლობის ნიშნად კალათბურთელებს, მწვრთნელებსა და კლუბის ხელმძღვანელებს საჩუქრები გადასცა. შეხვედრის შემდეგ დავუკავშირდით გუნდის სპორტულ დირექტორ ლევან მიქაბერიძეს, რომელმაც გვითხრა, რომ მინისტრმა სული თანადგომა გამოუცხადა და მომავალ სეზონში მიზნად მხოლოდ ჩემპიონობა დაუსახა.

ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „შსს აკადემია“ გაისად უკეთესი თუ არა, უარესი გუნდი არ იქნება.

ზემოთნახსენებ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე ლევან მიქაბერიძე და [illegible]თავარი მწვრთნელი, გიორგიოს კეცელიდისი „ლელოს“ რედაქციას სტუმრობდნენ. ბერძენ სპეციალისტს სეზონის მოკლე რეზიუმე ვთხოვეთ.



ლევან მიქაბერიძე (მარცხნივ) და გიორგიოს კეცელიდისი

- 2012-13 წლების სეზონისთვის მზადებას 1-ლი ივნისიდან შევუდექით. მადლობელი ვარ, რომ ხელმძღვანელობამ ჩემი სურვილები გაითვალისწინა და დავიმატეთ ისინი, ვისაც შეეძლო გუნდი გაეძლიერებინა. საბოლოოდ მივიღეთ ჯანსაღი ორგანიზმი. „შსს აკადემიაში“ ჩაირიცხნენ ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები, რომლებსაც სურდათ ესწავლათ, გაუძლებდნენ დატვირთვებს, რაც საბოლოოდ მათი კარიერისთვის უნდა ყოფილიყო სასარგებლო.

**- უცხოელებზე რას იტყვით?**

- გაგვიმართლა, რომ ყველა უცხოელი ხასიათითაც დადებითი პიროვნებაა და პროფესიულადაც. როგორც წესი, უმართლებთ მათ, ვინც ბევრს შრომობს. მთელი ზაფხული ვიდეოების ძიებასა და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლაში გავატარე. უმთავრესად მაინტერესებდა ლეგიონერების ცხოვრებისადმი მიდგომა, მათი ფსიქოლოგია, ხასიათი. ჩად პრუეტი, კირკ არჩიბეკი და დეონტა ვონი სწორედ ისეთები აღმოჩნდნენ, როგორებიც შსს-ს სჭირდებოდა. მოგვიანებით ასევე კარგი თვისებების მქონე ბენჟამინ რეიმონდი და ვასილის კუნასი დავიმატეთ. რაც მთავარია, მათ ევროპული გამოცდილება და უკვე ევროპული მენტალიტეტი აქვთ.

**- ქართველების მენტალიტეტზე არაერთ უცხოელ მწვრთნელს ულაპარაკია...**

- მწვრთნელის საქმეა ნებისმიერი მენტალიტეტის შეგირდთან ერთნაირად იმუშაოს. იგი უნდა იყოს მწვრთნელიც, მეგობარიც, მასწავლებელიც, მშობელიც... საჭიროა საუბარი და რჩევა-დარიგება დარბაზშიცა და მის გარეთაც. კალათბურთელმა უნდა გაიაზროს, რომ მის წინაშე დიქტატორი კი არ დგას, არამედ პროფესიონალი მწვრთნელი, რომელიც უხსნის რა როგორ გააკეთოს და რა შედეგს მოიტანს ასეთი მიდგომა. ერთ საინტერესო მაგალითს გეტყვით. ილია ლონდარიძე რთული ხასიათის კალათბურთელია, ზარმაცი, არ უყვარს რეჟიმის დაცვა, მაგრამ ამ სეზონში იგი დღეში ორჯერ სიამოვნებით ვარჯიშობდა, რეჟიმი არ დაურღვევია, წონაც დაიკლო და ჩემთან ტაქტიკაზეც ხშირად საუბრობდა. გავიმორებ და ვიტყვი, რომ გულდაწყვეტილი ვარ, ლონდარიძე საქართველოს ნაკრების 20-კაციან გაფართოებულ სიაში ვერ ვნახე.

**- შსს-ს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩენა რომ შემოგთავაზონ, რას ეტყვით?**

- დღეს ზუსტი პასუხის გაცემა მიჭირს. გადაწყვეტილება არაერთ ნიუანსზეა დამოკიდებული. მაქვს გუნდის შენების ჩემეული მონახაზი, საძირკვლიდან დაწყებული...

**- სხვათა შორის, „შსს აკადემია“ სუპერლიგის ერთ-ერთი იშვიათი კლუბია, რომელსაც ყველა ასაკის ჩემპიონატში ჰყავს გუნდი. ზოგადად რისი თქმა შეგიძლიათ ბავშვთა კალათბურთზე?**

- ცუდი კაცი გავხდები და გეტყვით: საქართველოში უამრავი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ კონკრეტულად ბავშვის აღზრდაში სპეციალიზებული მწვრთნელების ნაკლებობაა. ბავშვთან მომუშავე უნდა იყოს მასწავლებელიც, ფსიქოლოგიც, ფიზმომზადების სპეციალისტიც და რაც მთავარია, გავლილი უნდა ჰქონდეს სკოლა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში ბავშვებთან მუშაობას სრულფასოვნად აითვისებს. თუ დიდი გუნდის მწვრთნელის აღზრდაზე, ვთქვათ, 10 ლარი იხარჯება, ბავშვთა მწვრთნელზე 30 ლარი უნდა გამოიყოს, რადგან სწორედ ბავშვებზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის მომავალი. მათ მოსამზადებლად სპეციალიზებული სკოლები ევროპის ბევრ ქვეყანაშია.

**- საკუთარი ასისტენტებით რამდენედ კმაყოფილი ბრძანდებით?**

- კმაყოფილი ვარ. როცა საქართველოს საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო გადმომცეს, იგი ჩემს თანაშემწეებთან გავიზიარე. სწორი მიმართულებით მიდიან. თუმცა მიმაჩნია, რომ გიორგი ნიკოლაძე საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში მუშაობას ჯერ არ უნდა დათანხმებულიყო. მან მწვრთნელის რანგში ოდენ პირველი სეზონი ჩაატარა. გიორგიმ ბევრი უნდა ისწავლოს, რისთვისაც დროა საჭირო. თუმცა ისიც მესმის, რომ ახალგაზრდაა და ოჯახი ჰყავს. როცა ნაკრებში თუნდაც ასისტენტობას გთავაზობენ, სიამაყეს გრძნობ და ძნელია უარის თქმა.

**- ერთ-ერთი პრესკონფერენციისას თქვით, რომ საქართველოს ნაკრებში სიამოვნებით იმუშავებდით.**

- თანაშემწედ რომ მივეწვიეთ, დავთანხმდებოდი. ეროვნულ გუნდს თავი დავანებოთ, საქართველოს უმცროსი ასაკის ნაკრებებსაც გავუზიარებდი გამოცდილებას. აქვე არ მინდა გამომრჩეს: ჩემი დაკვირვებით, საქართველოში არის ძალიან კარგი, მზარდი მწვრთნელი. ესაა „ოლიმპის“ სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელი დიმიტრი ჟაკობოვი.

**- თქვენს ორგანიზაციაშიც არიან მოთამაშეები, რომლებსაც პატარაობაში იმ პოზიციაზე არ ათამაშებდნენ, რომელზეც უფრო სასარგებლონი იქნებოდნენ. ახლა გიწევთ გადაკეთება.**

- რამდენიმე წლის წინათ თურქეთშიც იყო მსგავსი პრობლემა და საბერძნეთშიც. ბავშვთა გუნდების მწვრთნელები მხოლოდ ამა თუ იმ თამაშის შედეგზე იყვნენ ორიენტირებულები, მეორეხარისხოვანი იყო კალათბურთელის მომავალი. შესაძლოა, რომელიმე ტანმაღალი ბიჭი პატარაობაში ცენტრად ათამაშონ, დაკარგოს სისწრაფე, ვერ ისწავლოს დრიბლინგი. დღევანდელ კალათბურთში უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი.

**- სუპერლიგას დავუბრუნდეთ. ხშირად გამოგიხატავთ მსაჯებით უკმაყოფილება...**

- მინდა ბოდიში ვუთხრა, რომ ზოგჯერ მათ მიმართ აგრესიას გამოვხატავდი. მადლობა არბიტრებს, რომლებიც ძალიან ბევრს მუშაობენ და მაღალ დონეზე არიან. ერთადერთი, რაზეც სამუშაოა, მსაჯების რაოდენობის გაზრდაა.

**- დაგვისახელეთ სუპერლიგის სამი საუკეთესო კალათბურთელი.**

- ბევრმა სათანადოდ ვერ შეაფასა ჩად პრუეტის შრომა. იგი ყველაფერს აკეთებდა, რაც გუნდს სჭირდებოდა, როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. ასეთივე მოთამაშეა არმიელი დავით საყვარელიძე. პრუეტის შემდეგ, მეორე ადგილზე დავაყენებდი მიხეილ ბერიშვილს „ოლიმპიდან“. მას მეტი ათლეტურობა სჭირდება. მესამეა დინამოელი ქიენ კარტერი.

**- ბავშვთა კალათბურთზე ვილაპარაკეთ და არაფერი გვითქვამს თქვენი გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებზე.**

- გამთამაშებელ რევაზ როგავას მთელი სეზონის განმავლობაში საშუალოდ 25 წუთს ვათამაშებდი. ფინალებში კი დრო შეუმცირდა, რადგან ახალგაზრდული ჩემპიონატის დასკვნითი მატჩების შემდეგ ცოტა გადაიღალა. ეს ნორმალურია, რადგან რეზო 19 წლისაა. ტექნიკურია, მოედნის კარგი ხედვა აქვს, დაცვაში საიმედოა და რაც მთავარია, გუნდურად აზროვნებს. რაც შეეხება ტოტის, მიმაჩნია, რომ იგი საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო დაცვას თამაშობს.

**- ტოტი?**

- საქართველოში რომ ჩამოვედი, ყველას სახელის დამახსოვრება გამიჭირდა და მერაბ ბოქოლიშვილს მეტსახელი დავარქვი. რადგან იგი მანამდე იტალიაში თამაშობდა, ყველაზე მარტივი იტალიური სახელი, ტოტი მოვუძებნე. ყველა კალათბურთელს არ ეხება, მაგრამ გულის დაწყვეტით ვიტყვი, რომ ბევრი ახალგაზრდა დროს უქმად კარგავს. თვალს ვადევნებ „ფეისბუქზე“ ჩემი ახალგაზრდა შეგირდების აქტივობას, ტვირთავენ ფოტოებს, ვიდეოებს, რაზეც დიდი დრო იხარჯება. არადა, გაცილებით მეტს მოიგებენ, ეს დრო სწავლასა და ვარჯიშში რომ დახარჯონ და „ფეისბუქში“ დღის ბოლოს 15 წუთით შევიდნენ.

**- საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყველაზე სასიამოვნო და არასასიამოვნო ამბის გახსენებას გთხოვთ.**

- არასასიამოვნო იყო ის, რაც სუპერთასის მატჩის დღეს მოხდა. მეტს არაფერს ვიტყვი და ნურც მკითხავთ. საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღეებში ცუდი ამბები დატრიალდა ჩემს თავს. პრეზენტაციის მეორე დღეს მე და არჩილ ჟღენტი ავტოავარიაში მოვყევით. მალე ბათუმში თამაშზე გავემგზავრეთ და დათოვლილ გზაზე 8 საათი ვიარეთ. მძღოლს რომ ვკითხავდი, ბათუმამდე კიდევ შორია-მეთქი, მპასუხობდა - შევუხვევთ და იქააო. ნამდვილად არ მახსოვს, რამდენჯერ მითხრა - შევუხვევთ და იქააო... ბათუმში რომ ჩავედი, მეუღლეს დავურეკე - ბილეთი უნდა ავიღო და საბერძნეთში დავბრუნდე-მეთქი. რაც შეეხება პოზიტიურ გასახსენებელს. სასიამოვნო იყო ყოველი მოგებული თამაშის შემდეგ გასახდელში შესვლა და მეგობრებთან სიხარულის გაზიარება.

**- თქვენი მეუღლეც სპორტთან ხომ არ არის კავშირში?**

- ყოფილი კალათბურთელია. ერთ დღეს მისი გუნდის მწვრთნელი არ გამოცხადდა და ვარჯიში მე ჩავუტარე. მას მერე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. საინტერესო ის არის, რომ ორივე სტამბოლში დავიბადეთ, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, მაგრამ ერთმანეთი საბერძნეთში რამდენიმე წლის შემდეგ გავიცანით.

**- ბოლოს რამეს ხომ არ დაამატებდით?**

- საქართველო მზარდი ქვეყანაა და დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელიწადში ევროპის წამყვან სახელმწიფოებს გაუტოლდება. იმედი მაქვს, ნინსვლას კალათბურთიც შეუწყობს ხელს და ქართულ კლუბებს ევროპის ტოპ-შეჯიბრებებში წარმატებით მოთამაშეებს ვიხილავ.



ეს წუთია გიორგიოს კეცელიდისმა საქართველოს ჩემპიონატი მოიგო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# ლებრონის მრისხანება



ლებრონ ჯეიმსი

წარმატებული მესამე მეოთხედის წყალობით, "მაიამიმ" მეხუთე მატჩში დაამარცხა "ინდიანა" და ერთი ნაბიჯი აკლია NBA-ის ფინალამდე.

„ინდიანას" შეეძლო ამ მატჩის მოგება, მეორე ტაიმში დაცვასა და შეტევაში ისე რომ ეთამაშა, როგორც ეს პირველ ნახევარში გააკეთა. პირველი ტაიმი **ფრენკ ფოგელის** შეგირდებმა 4 ქულის სხვაობით მოიგეს, არადა, უფრო დიდი სხვაობის დაფიქსირება შეეძლოთ. ჩემპიონებმა კვლავ ვერაფერი მოუხერხეს მეტოქის წინა ხაზს. მარტო **როი ჰიბერტმა** პირველ ორ მეოთხედში ცხრიდან ექვსი ტყორცნა გამოიყენა და 14 ქულა დააგროვა. ამას დაემატა **დევიდ უესტის** 10 ქულა მესამე 12-წუთეულში. დამაჯერებლად გამოიყურებოდა **პოლ ჯორჯი**...

„მაიამის" შეტევაში თამაშიც არ მისდიოდა. მასპინძლები ტემპის გარეშე უტევდნენ და დიდწილად, **ლებრონ ჯეიმსის** ინდივიდუალურ ოსტატობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. პერიმეტრზე განლაგებული მცველები იშვიათად იღებდნენ ბურთს და თუ მათ მაინც ეძლეოდათ ტყორცნის საშუალება, დიდი სიზუსტით არ გამოირჩეოდნენ (პირველ ტაიმში „მაიამიმ" 9-დან 3 სამქულიანი გამოიყენა).

შესვენების შემდეგ, „ჰიტი" დიდი ხანი არ ყოფილა მდევრის როლში. დაახლოებით სამ წუთში **ჯორჯ ჰილმა** სამი პერსონალური მიიღო და მეოთხედის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე, გამთამაშებელი სათადარიგოთა სკამისკენ გაეშურა. საბოლოო ჯამში, პირველი ნომრის არყოფნამ „ინდიანაზე" ცუდად იმოქმედა.

ჰილის შეცვლის შემდეგ, სტუმრების შეტევა სერიოზულად მოიკოჭლებდა. „მაიამიმ", როგორც იქნა, მონწყვიტა მეტოქის წინა ხაზი უკანას. ჰიბერტი ორმაგი მეურვეობის გამო ველარ ყოჩაღობდა, უესტამდე ბურთი იშვიათად მიდიოდა, ჯორჯს ფარქვეშ არ უშვებდნენ და მას 4-5 მეტრიდან უწევდა სროლა, თან დიდი წინააღმდეგობით. **სტივენსონმა** და **ოგასტინმა** ჯამში 4 ქულა დააგროვეს და პარტნიორებს ვერ დაეხმარნენ. შედეგად, მესამე მეოთხედში სტუმრებმა 14-დან მხოლოდ 3 ზუსტი ტყორცნა შეასრულეს, ხუთჯერ დაკარგეს ბურთი და 13 ქულა დააგროვეს. აქამდე, „პეისერსს" თითო მეოთხედში 20 ქულაზე ნაკლები არ დაუგროვებია.

ეს იყო პრობლემები მეტოქის ნახევარზე, საკუთარზე კი „ინდიანას" დიდი სირთულეები შეუქმნა ლებრონ ჯეიმსმა, რომელიც მთელი ძალით ათამაშდა. მესამე მეოთხედში, მისი ქულებითა და პასებით „ჰიტმა" გუნდური 30-ქულიდან 25 დააგროვა. ლებრონს ძალიან დაეხმარა **უდონის ჰასლემი** - ის კუთხეში ერთ ადგილას იდგა და MVP-სგან პასებს ელოდა. საბოლოოდ, ვეტერანმა ცხრიდან რვა ტყორცნა მოათავსა კალათში. სწორედ ამ დუეტის მონდომებით, „მაიამი" 19:3 გაიქცა და მეოთხე მეოთხედი 13-ქულიანი უპირატესობით დაიწყო.

სწორედ ამ დროს, **ერიკ სპოელსტრამ** დასვენების საშუალება მისცა ჯეიმსს. ფორვარდმა სათადარიგოთა სკამზე წუთნახევარზე ნაკლები გაატარა და ეს მონაკვეთი „ინდიანამ" მინისპურტით დაასრულა - 5:0. მაგრამ „ქამბექი" არ შედგა - რამდენიმე უხეშმა შეცდომამ „პეისერსს" წარმატების ბოლო შანსი მოუსპო.

**მაიამი–ინდიანა 90:79**

19:23, 21:21, 30:13, 20:22

მ: ჯეიმსი (30+8 მოხსნა+6 პასი), ჰასლემი (16), ჩელმერსი (12+6 პასი), უეიდი (10+6 მოხსნა+4 პასი).

ი: ჯორჯი (27+11 მოხსნა+5 პასი), ჰიბერტი (22+6 მოხსნა), უესტი (17+8 მოხსნა).

**სერია: 3-2**

მძლეოსნობა

# გამარჯვება 9 წლის შემდეგ

ამერიკელი ბირთვის მკვრელი **ადამ ნელსონი** ოფიციალურად აღიარეს 2004 წლის ოლიმპიურ ჩემპიონად. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ნელსონს გადასცა ოქროს მედალი, რომელიც ათენში უკრაინელმა **იური ბელონოგმა** მოიპოვა. ეს უკანასკნელი დოპინგის მიღებაში ამხილეს.

ბოლონოგი ერთ-ერთია იმ სპორტსმენთაგან, რომლებიც ათენის სინჯების ხელმეორე შემოწმებისას ჩავარდნენ დოპინგზე – უკრაინელს აკრძალული პრეპარატის ოქსანდროლონის მიღება დაუდგინეს.

ნელსონმა 2004 წლის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაკავა. მან ისეთივე შედეგი აჩვენა, როგორიც ბოლონოგმა (21 მეტრი და 16 სანტიმეტრი), მაგრამ უკრაინელს დამატებითი მაჩვენებლით მიანიჭეს გამარჯვება.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ვერცხლის მედალი დანიელი **იოახიმ ბრეხნერის** მფლობელობაში გადავა, ბრინჯაო კი ესპანელ **მანუელ მარტინესს** ერგება.

■ ■ ■

სრულიად სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენში 4x400 მეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებულ აშშ-ს ქალთა ნაკრებთან მიმართებაში. ეს გუნდი შეინარჩუნებს ოქროს მედალს იმის მიუხედავად, რომ ამერიკელთა ნაკრების ერთ-ერთმა წევრმა დოპინგის მიღება აღიარა.

**კრისტალ კოქსი**, რომელმაც ერთ-ერთ წინასწარ გარბენში მიიღო მონაწილეობა, 2012 წელს მაშინდელი სტარტისთვის მიღებული მედლის გარეშე დარჩა, რადგან ჯერ კიდევ 2010 წელს აღიარა, რომ სამი წლის განმავლობაში იღებდა ანაბოლურ სტეროიდებს, მათ შორის, 2004 წელსაც. ამ პერიოდში ნაჩვენები ყველა შედეგი გაუქმდა, ხოლო აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ სპორტსმენს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა, რომელსაც 2014 წლის იანვარში გასდის ვადა.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეუნარჩუნოს ოქროს მედლები აშშ-ის ნაკრების სხვა წევრებს – **დიდი ტროტერს, მონიკ ჰენდერსონს, სანია რიჩარდსს, მონიკ ჰენეგანსა და მოუშომი რობინსონს.**

შესაბამისად, რუსეთის ნაკრებს იმ გარბენისთვის დარჩება ვერცხლი, ხოლო იამაიკას – ბრინჯაო.



ადამ ნელსონი

სათხილამურო რბოლა



ანფისა რეზცოვა

# ჩემპიონი: დოპინგი აუცილებელია!

ცნობილი რუსი მოთხილამურე და ბიატლონისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ანფისა რეზცოვა** აღიარებს, რომ დოპინგი აუცილებელია მაღალ დონეზე გამოსასვლელად. *"თუ რაიმეს მიღწევა გსურს, დოპინგის გარეშე შორს ვერ წახვალ"*, - განაცხადა სპორტსმენმა.

რამდენიმე წლის წინ, რეზცოვამ პრესაში აღიარა, რომ თავისი კარიერის ბოლო სეზონში (1998-99) დოპინგს იყენებდა. მისი თქმით, სწორედ აკრძალული პრეპარატი დაეხმარა 1999 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ესტაფეტის მოგებაში.

სპორტსმენის მაშინდელი აღიარების მიუხედავად, რუსს არც ერთი მედალი არ ჩამოართვეს. უშუალოდ, კარიერის მიმდინარეობისას რეზცოვა არასოდეს ჩავარდნილა დოპინგზე.

რეზცოვა 1988 წელს, კალგარის ოლიმპიურ თამაშებზე ოქრომედალოსანი გახდა სათხილამურო ესტაფეტაში. გარდა ამისა, ის სამჯერ იყო თხილამურებით რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი.

1992 წელს, ალბერვილში რეზცოვა ბიატლონში გამოდიოდა და სპრინტში მოიგო ოქრო, ორი წლის წინ, ლილეჰამერის თამაშებზე რუსი კიდევ ერთხელ გახდა ბიატლონში ესტაფეტის გამარჯვებული.

ველოსპორტი

# ბრედლი ტიტულს ვერ დაიცავს?

ბრიტანული ველოსაჯინიბო "სქაის" ლიდერმა **ბრედლი უიგინსმა**, შესაძლოა, ტრავმის გამო ვერ დაიცვას ტიტული 2013 წლის ტურ დე ფრანსზე, - იტყობინება გაზეთი "გარდიანი". შეგახსენებთ, რომ ბრიტანელმა დაზიანება ჯირო დ'იტალიას დროს მიიღო.

გამოცემა წერს, რომ უიგინსმა უკვე გამოიტანა განაცხადი პრესტიჟული მრავალდღიანი ტურიდან - "კრიტერიუმ დოფინედან", რომელიც ფრანგული სუპერველომარათონის გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევა. ეს რბოლა ივნისის ბოლოს დაიწყება.

2012 წელს, ბრიტანელმა მოიგო ტურ დე ფრანსი და აგრეთვე, ლონდონის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დროზე განცალკევებით რბოლაში.

*"შემიძლია დავადასტურო, რომ ამჟამად უიგინსი არ ვარჯიშობს. ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით შექმნილ სიტუაციას"*, - განაცხადა "სქაის" მენეჯერმა **დეივ ბრეილსფორდმა**. შეგახსენებთ, რომ ბრიტანული ველოსაჯინიბოს ხელმძღვანელობამ უიგინსის ტრავმამდე გამოაცხადა, რომ წლევანდელ ტურ დე ფრანსზე „სქაის" ლიდერი კიდევ ერთი ბრიტანელი **კრისტოფერ ფლუმი** იქნება.

"კრიტერიუმ დოფინე" საფრანგეთის ტერიტორიაზე (პირველ ეტაპს შვეიცარია უმასპინძლებს) 2-9 ივნისს გაიმართება.

ავტოსპორტი



მარკ მარკესი

# საბოლოო უქმეების წინ

მომავალ უქმეებზე მორიგი ეტაპები გაიმართება მოტოგრანპრისა და რალიში.

მოტომრბოლელები იტალიის მუჯელოში შეიკრიბებიან. ეს არის ვალენტინო როსის საშინაო ეტაპი. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი წლევანდელ სეზონში არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება. განსხვავებით თანაგუნდელ ხორხე ლორენსოსგან. არაფერს ვამბობთ "ჰონდას" პილოტებზე – დანი პედროსასა და მარკ მარკესზე, რომლებიც აშკარად აღემატებიან კონკურენტებს. საინტერესოა, გახდება თუ არა როსისთვის მუჯელოს რბოლა გარდამტეხი?

რალიში მსოფლიოს ჩემპიონატი საბერძნეთის ეტაპით გაგრძელდება და პილოტები შეეცდებიან დაუმარცხებელი სებასტიან ოჟიეს გასწრებას. უფრო სწორად, თითქმის დაუმარცხებელი ოჟიესი... ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონში 29 წლის ფრანგს ვერავინ მოუგო, მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონის სებასტიან ლოების გარდა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი WTCC-ის სერიაში გადასასვლელად ემზადება.

**მოტოგრანპრი**

**იტალიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** მუჯელო (იტალია)
**წრის სიგრძე:** 5.245 კმ
**წრისრეკორდი:** 1:47,705 (დანი პედროსა, 2012)

**საერთო ჩათვლა**

1. რედროსა (Honda) - 83 ქულა
2. მარკესი (Honda) - 77
3. ლორენსო (Yamaha) - 66
4. კრატჩლოუ (Yamaha) - 55
5. როსი (Yamaha) - 47
6. დოვიციოზო (Ducati) - 39
7. ბაუტისტა (Honda) - 38
8. ჰეიდენი (Ducati) - 35

**უქმეების განრიგი**

31 მაისი, 11:55 — I პრაქტიკა
31 მაისი, 16:05 — II პრაქტიკა
1 ივნისი, 11:55 — III პრაქტიკა
1 ივნისი, 16:10 - კვალიფიკაცია
2 ივნისი, 16:00 — რბოლა

**რალი**

**საბერძნეთი**

**შტაბი:** ლუტრაკი (საბერძნეთი)
**საფარი:** ღორღი
**სპეცმონაკვეთების რაოდენობა:** 14
**დისტანცია:** 306.53 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ოჟიე (Volkswagen) - 122 ქულა
2. ლოები (Citroen) - 68
3. ჰირვონენი (Citroen) - 57
4. ლატვალა (Volkswagen) - 49
5. ოსტბერგი (Ford) - 38
6. ნოივილი (Ford) - 35
7. სორდო (Citroen) - 29
8. ნოვიკოვი (Ford) — 27

ფორმულა 1

# უილიამსი რენოზე გადადის

ბრიტანულმა საჯინიბო "უილიამსმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2014 წლიდან უარს იტყვის "რენოს" ძრავებზე და "მერსედესის" ძალისმიერ აგრეგატს გამოიყენებს. მრავალწლიანი კონტრაქტის მიხედვით, "უილიამსი" მიიღებს არამხოლოდ ტურბოძრავებს, არამედ ERS-ის სისტემას, რომელიც მომდევნო წლიდან შეცვლის ნაკლებად ეფექტურ KERS-ის სისტემას.

თავის მხრივ, "მერსედესმა" ახალი კლიენტი იშოვა "მაკლარენის" ნაცვლად. ეს უკანასკნელი 2015 წლიდან იაპონური "ჰონდას" ძრავებზე გადავა. მომავალ სეზონში, ფორმულა 1-ში ძრავების სამი მიმწოდებელი იქნება – "მერსედესი", "ფერარი" და "რენო".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ნადალი სეტებს არიგებს



ნადალს რაღაც აკლია

ერთი უცნაურობა დასჩემდა **რაფაელ ნადალს** მიმდინარე როლან გაროსზე - უკვე მეორე შეხვედრაა, მთავარი ფავორიტი აგებს საწყის სეტს. პირველ შემთხვევაში ასეთი გმირობა ჩაიდინა **დანიელ ბრანდსმა**, ახლა კი მას **მარტინ კლიჟანმა** მიბაძა.

ამჯერად, ნადალმა სასტარტო ჩავარდნა ინტენსივობის დეფიციტსა და მეტოქის კარგ თამაშს დააბრალა. ესპანელმა პირველ სეტში ვერც ერთი ბრეიკი ვერ გააკეთა, 3:3-სა და 15:40-ზე ფორჰენდის შესრულებისას შეცდომა დაუშვა და ეს ბრეიკი გადამწყვეტი აღმოჩნდა პირველ სეტში.

მეორე სეტიდან მოყოლებული, ნადალი ინიციატივას დაეუფლა - ამის დამადასტურებელია 4:0 პარტიის სტარტზე. მართალია, კლიჟანმა გაბრძოლება სცადა და სხვაობაც შეამცირა, მაგრამ რაფას შეჩერება რთული იყო. მან 37 წუთში 6:3 მოიგო პარტია, ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა მესამე და მეოთხე სეტებში და ამ სეზონში 38-ე მოგება (40 მატჩში) გაიფორმა. დღეს, 1/16-ფინალის მატჩში ნადალი **ფაბიო ფონინის** შეხვდება.

კარიერაში 899-ე მატჩი მოიგო **როჯერ ფედერერმა**, რომელიც ფრანგ **ჟულიან ბენეტოს** ხვდებოდა. ჩვენ უკვე მოგიყევით ამ ჩოგბურთელთა ურთიერთდაპირისპირების შესახებ. კერძოდ, ბენეტოს მოგებული ჰქონდა შვეიცარიელისთვის შარშან უიმბლდონსა და წელს, როტერდამის ტურნირზე, ამ მატჩებს შორის კი იყო ოლიმპიადაზე ფედერერის გამარჯვება. გუშინ რევანში შედგა. შვეიცარიელს მხოლოდ პირველი სეტის სტარტზე გაუჭირდა, როცა ბენეტომ პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა. მაგრამ, 0:2-ზე ფედერერმა მომდევნო შვიდი გეიმიდან ექვსი აიღო და ამის შემდეგ, უკან აღარ დაუხევია. როჯერის შემდეგი მეტოქე ფრანგი **ჟილ სიმონი** იქნება, რომელმაც ხუთ სეტში მოუგო **სემ კუერის**.

თუ ფედერერს ერთი მოგება სჭირდება 900 გამარჯვებამდე, ესპანელმა **დავიდ ფერერმა** „დიდი სლემის“ ტურნირებზე საიუბილეო, მე-100 შეხვედრა მოიგო, როცა უპრობლემოდ გაუსწორდა თანამემამულე **ფელისიანო ლოპესს**. ახლა, ფერერს სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან** მოუწევს შეხვედრა, რომელსაც სამ სეტში მოუგო **მილოშ რონიჩს**.

აგრძელებს კარგი ფორმის დემონსტრირებას ფრანგების მთავარი იმედი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელიც ძალიან იოლად გაუსწორდა **ჟერემი შარდის** - 6:1, 6:2, 7:5. თანამემამულის გასანადგურებლად ცონგამ საათი და 42 წუთი იკმარა და სერბ **ვიქტორ ტროიცკისთან** თამაშის უფლება მიიღო. ამ უკანასკნელმა, მოულოდნელად მოუგო სამ სეტში **მარინ ჩილიჩს**.

მორიგი ხუთსეტიანი მარათონი შემოგვთავაზა ამერიკელმა **ჯონ ისნერმა**. მან სამი საათი და 50 წუთი იბრძოლა თანამემამულე **რაიან ჰარისონის** წინააღმდეგ, 8:6 მოიგო მეხუთე სეტი და მესამე წრეში თამაშის უფლება მიიღო, რაც როლან გაროსზე მისთვის საუკეთესო შედეგია. ისნერი და ჰარისონი მეხუთედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ისნერმა მეოთხედ მოიგო.

გუშინ, კიდევ ერთი შეხვედრის მეხუთე სეტში გათამაშდა 14 გეიმი. **იანკო ტიპსარევიჩი** ოთხი საათი და 32 წუთი (!) ებრძოდა ესპანელ **ფერანდო ვერდასკოს**, გაანიავა ორსეტიანი უპირატესობა, მაგრამ ბოლოს მაინც გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა, როცა მე-20 ბრეიკ-პოინტი მეხუთე ბრეიკში გარდასახა.

**კაცები**

**II წრე**

**ტომი ჰაასი (გერ, 12)**-ჯეკ სოკი (აშშ) 7:6(3), 6:2, 7:5; **ჯონ ისნერი (აშშ, 19)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 5:7, 6:7(7), 6:3, 6:1, 8:6; **მიხაილ იუჟნი (რუს, 29)**-ფედერიკო დელბონისი (არგ) 6:3, 6:7(5), 7:5, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 7:6(3), 6:1, 3:6, 5:7, 8:6; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 4:6, 6:3, 6:3, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 9)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 6:2, 7:6(2), 6:4; **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 21)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:4, 4:6, 6:4, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:4, 7:5, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 7)**-მიხალ პრისიეჟნი (პოლ) 6:3, 6:3, 6:0.

**1/16 ფინალი**

**ტომი რობრედო (ესპ, 32)**-გაელ მონფილი (საფ) 2:6, 6:7(5), 6:2, 7:6(3), 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 11)**-ანდრეას სეპი (იტა, 20) 7:6(1), 6:0, 6:4; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 23)**-მილოშ რაონიჩი (კან, 14) 7:5, 7:6(4), 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:!, 7:5, 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-ჟერემი შარდი (საფ, 25) 6:1, 6:2, 7:5; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 10) 7:6(12), 6:4, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ, 15)**-სემ კუერი (აშშ, 18) 2:6, 6:3, 2:6, 7:6(2), 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 30) 6:3, 6:4, 7:5.

# ტორნადო, სახელად სერენა

ამ ეტაპზე ისე ჩანს, რომ ქალთა ტურნირის გათამაშებას აზრი არ აქვს და შეიძლება პირდაპირ მიანიჭონ მთავარი პრიზი ამერიკელ **სერენა უილიამსს**. მან მესამე მატჩი ჩაატარა მიმდინარე როლან გაროსზე და ჯამში მხოლოდ ექვსი გეიმი წააგო. ამჯერად, ამერიკელის მსხვერპლი გახდა 26 წლის რუმინელი **სორანა კირსტეა** - 6:0, 6:2.

შარშან, საფრანგეთის ღია პირველობაზე პირველ წრეში წაგების შემდეგ, უმცროსი უილიამსის სტატისტიკა დაუჯერებლად მოსჩანს. იქედან მოყოლებული, ამერიკელმა 73 მატჩი ჩაატარა და 70 მოიგო, მოიპოვა მთავარი პრიზი უიმბლდონზე, ამერიკის ღია პირველობაზე, ლონდონის ოლიმპიადასა და WTA-ის შემაჯამებელ ტურნირზე, ამ მომენტში კი უილიამსს ზედიზედ 27-მატჩიანი მოგებათა სერია აქვს.

მესამე წრეში სერენას შეჩერებას ეცდება იტალიელი **რობერტა ვინჩი**.

ორი დღე გაგრძელდა მოქმედი ჩემპიონის, რუსი **მარია შარაპოვასა** და 19 წლის კანადელი **იუჯინი ბუშარის** შეხვედრა. თამაში წვიმის გამო მაშინ შეწყდა, როცა შარაპოვა 6:2, 4:2-ს უგებდა იუნიორებს შორის შარშანდელ ჩემპიონს. სხვათა შორის, ბუშარმა გაბრძოლება სცადა და ახლოს იყო 5:5-თან, მაგრამ ბრეიკ-პოინტზე ბექჰენდის შესრულებისას შეცდომა დაუშვა და მარიამ ეს არ აპატია. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ გუშინ, შარაპოვამ 15 წუთი დაჰყო კორტზე მესამე წრის საგზურის მოსაპოვებლად.



სერენა უილიამსი

**ქალები**

**II წრე**

**სტეფანი ფოგელი (შვეიც)**-კაია კანეპი (ესტ) 7:6(6), 3:6, 8:6; **მარია კირილენკო (რუს, 12)**-ეშლი ბარტი (ავსტრა) 6:3, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 13)**-მარიანა დუკე-მარინო (კოლ) 7:6(5), 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 21) 6:1, 4:6, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-იუჯინი ბუშარი (კან) 6:2, 6:4.

**1/16 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-სორანა კირსტეა (რუმ, 26) 6:0, 6:2; **რობერტა ვინჩი (იტა, 15)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:1, 2:6, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:4, 7:6(2); **ანჟელიკ კერბერი (გერ, 8)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ, 29) 6:4, 6:7(3), 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-დინა პფიცენმაიერი (გერ) 6:3, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:3, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 20)**-მონიკა პუიგი (პრიკ) 6:4, 7:5; **სარა ერანი (იტა, 5)**-საბინ ლისიცკი (გერ, 32) 6:0, 6:4.

ჩოგბურთი

## უილიამსებს წყვილები არ უნდათ

წყვილებში "დიდი სლემის" ტურნირების 13-გზის ჩემპიონებმა, ამერიკელმა დებმა – **სერენა** და **ვინუს უილიამსებმა** როლან გაროსის წყვილთა ტურნირიდან განაცხადი გამოიტანეს. ამის მიზეზი ვინუსის ტრავმა გახლავთ. ასე რომ, რუსმა **ალა კუდრიავცევამ** და ავსტრალიელმა **ანასტასია როდიონოვამ** უბრძოლველად გაიარეს პირველი წრე.

შეგახსენებთ, რომ ერთეულთა თანრიგში ვინუსმა უკვე დაასრულა გამოსვლა, როცა პირველი წრის მატჩი წააგო **ურსულა რადვანსკასთან**, სერენამ კი როლან გაროსზე უკვე სამი წრე გაიარა.

კალათბურთი

## რა ხდება კობის თავს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** „ტვიტერის“ მეშვეობით აცნობა თავის გულშემატკივრებს ფეხის ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესის შესახებ. მწვრთნელის თქმით, ის სპეციალურ სამედიცინო ფეხსაცმელ „მამბაზე“ გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ბრაიანტმა აქილევსის მყესი 12 აპრილს, „გოლდენ სტეიტთან“ მატჩში გაიწყვიტა, რის გამოც გამოტოვა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი და პლეი ოფის სერია „სან ანტონიო სპურსის“ წინააღმდეგ.

როგორც ექიმები ვარაუდობენ, ლეგენდის დაბრუნება მომავალი სეზონის სტარტზე შედგება.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**საფრანგეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბორდო-ევიანი | 3:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| თურქეთი-სლოვენია | 0:2 |
| იტალია-სან მარინო | 4:0 |

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| დანია-ირლანდია | 0:0 |

**ტულონის ტურნირი**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ბელგია-პორტუგალია | 0:2 |
| ბრაზილია-მექსიკა | 1:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ოსტერი-გიოტებორგი | 2:0 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პაკა-პკ35 | 1:1 |
| ოპს-ოულუ | 0:0 |

**ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დროგედა | 0:3 |
| ბრეი-მერვუ | 2:0 |
| ფინიქსი-დანდალკი | 0:4 |
| სოლტჰილი-შემროკი | 0:2 |
| ტოლკა-კორინთიანსი | 2:2 |
| ფინ ჰარპსი-უექსფორდი | 2:1 |
| შელბურნი-ბენდონი | 3:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| პაკსი-კეჩმეკეტი | 0:1 |
| ფერენცვაროში-კაპოშვარი | 2:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| გლორია-კონკორდია | 1:3 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| შახტიორი-დნეპრი | 2:0 |
| ტორპედო-ბატე | 0:3 |
| დინამო (მნ)-ნემანი | 0:2 |
| გომელი-მინსკი | 2:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| დაუგავა-ილუკსტესი | 5:0 |
| იეგლავა-დაუგავა რიგა | 0:3 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| სილამაე-ლევადია | 2:0 |
| ნომე კალიუ-ფლორა | 4:3 |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| ისკრა-ცსკა | 0:3 |
| კოსტულენი-დაჩია | 2:1 |
| აკადემია-სპერანტა | 2:2 |
| ოლიმპია-მილსამი | 0:1 |
| ნისტრუ-შერიფი | 1:2 |
| ზიმბრუ-ტირასპოლი | 2:0 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| სენტრალი-ბელა ვისტა | 1:1 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| სტრასბური-ნანტი | 79:84 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-რეტიმნო | 87:72 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 81:55 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კანტუ-რომა | 81:73 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| გრან კანარია-ბარსელონა | 63:69 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბანვითი-ეფესი | 75:69 |

## TV პროგრამა

**1 ივნისი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ფინალი. ბენფიკა-ჩელსი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
16:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. I ტური. ვიტორია-ინტერნასიონალი.
20:00 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰანოვერი.
22:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. I ტური. კორინთიანსი-ბოტაფოგო.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი II მატჩი.
15:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-გლაზგო.
18:00 საავტომობილო სპორტი. რალი-კროსი. უნგრეთი. მიმოხილვა.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. ფენერბახჩე-ხიმკი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-სტანისლას ვავრინკა. მადრიდი. ესპანეთი.
22:45 NBA ACTION.
23:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი II მატჩი.
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ინდიანა-მაიამი. VI მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
14:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-დენვერი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
19:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლივლენდი.
21:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.

**2 ივნისი. კვირა**

**I არხი**

20:30. ფეხბურთი. ირლანდია-საქართველო (LIVE)

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. I ტური. ვიტორია-ინტერნასიონალი.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. I ტური. კორინთიანსი-ბოტაფოგო.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
20:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
00:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
01:15 არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტური. ბოკა ხუნიორსი-ველეს სარსფილდი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ინდიანა-მაიამი. VI მატჩი
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ლესტერი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ალბა.
20:00 NBA ACTION.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-როჯერ ფედერერი. რომი. იტალია.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ინდიანა-მაიამი. VI მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
13:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
13:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-დალასი
15:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
19:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-პორტლენდი
21:00 NBA ACTION.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 21 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 20 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 17 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 19 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 13 | 28 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 17 | 29 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 15 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 26 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 24 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1297 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6411 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4850 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1951 |

# ავტოსიახლეები

# ავტო–ოცნება: 14 ყველაზე ძვირადღირებული



## McLaren F1

### 970 000 დოლარი

ამ სიაში "ყველაზე იაფი" ავტომობილი არ ნიშნავს იმას, რომ ის ყველაზე უარესია. McLaren F1, რომელსაც დებიუტი 1992 წელს ჰქონდა, ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და ძვირადღირებულ ავტომობილად რჩება ბაზარზე. მაქსიმალური სიჩქარეა 386 კმ/სთ და და მისი გამოყენება ნებადართულია საზოგადოებრივ ტრასებზე. მსოფლიოს უსწრაფესი ავტომობილის სტატუსი მან 2005 წელს დაკარგა.



## McLaren P1

### 1,1 მლნ დოლარი

McLaren P1 ზემოთ ნახსენები მოდელის მემკვიდრეა. ელექტროძრავა 3.8-ლიტრიან twin-turbo-თან ერთად გამოიმუშავებს 903 ცხენის ძალას, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე 350 კმ/სთ-ს უდრის. საათში 100 კილომეტრის განვითარებისთვის სამ წამზე ნაკლებია საჭირო.



## Hennessey Venom GT

### 1,1 მლნ დოლარი

ამ ავტომობილში საკმარისი ძალაა იმისთვის, რომ 100 კმ/სთ ორ წამში აკრიფოს და განავითაროს საათში 462 კილომეტრი. Venom GT აღჭურვილია 7-ლიტრიანი twin-turbo V8-ით, რომელიც 1500 ცხენის ძალას ანვითარებს.



## Zenvo ST1

### 1,2 მლნ დოლარი

დანიურმა მანქანამ სახელი გაუთქვა თავის ქვეყანას. ძვირფასი და ექსკლუზიური სუპერკარი (წელიწადში მხოლოდ სამ ეკზემპლიარს უშვებენ), აღჭურვილია 7-ლიტრიანი ძრავით. მისი სიჩქარის მაქსიმალური ზღვარია 375 კმ/სთ.



## Maybach Landaulet

### 1,3 მლნ დოლარი

მეშვიდე ადგილზე სამი ავტომობილია. ერთ-ერთი - Maybach Landaulet ყველაზე ნელია აქ წარმოდგენილ სუპერკარებს შორის. მაგრამ ეს "ნაკლი" სხვა მახასიათებლებით კომპენსირდება.

4-კარიანი სედანის სახურავი უკან იწევა და სრული თავისუფლების შეგრძნებას იწვევს. გასაკვირი იქნებოდა, თუ 1.3-მილიონიან ავტომობილში არ იქნებოდა შამპანური იქ ჩამონტაჟებულ მაცივარში, ავტომატური "ლობე", რომელიც მგზავრის სალონსა და მძღოლის კაბინას ყოფს ერთმანეთისგან, აგრეთვე შიდა სატელეფონო ქსელი.



## Ferrari La Ferrari

### 1,3 მლნ დოლარი

Enzo-ს მემკვიდრე. იტალიური მანქანის ძრავა გამოიმუშავებს 789 ცხენის ძალას, თუმცა ეს სიმძლავრე შეიძლება გაიზარდოს კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის სისტემის წყალობით.

Ferrari La Ferrari 499 ეკზემპლიარად გამოუშვეს.



## Pagani Huayra

### 1,3 მლნ დოლარი

ამ სამეულშია 1.3-მილიონიანი Pagani Huayra. ის გამოიყენებს AMG V12 6-ლიტრიან ძრავას, რომელიც 730 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. მანქანას შეუძლია 3.3 წამში განავითაროს საათში 100 კილომეტრი. მაქსიმალური სიჩქარე 370 კმ/სთ-ს უდრის.



## Koenigsegg Agera R

### 1,6 მლნ დოლარი

შვედური კომპანია აწარმოებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ სერიულ ავტომობილს, რომლის მაქსიმალური სიჩქარეა 420 კმ/სთ, ხოლო 100 კმ/სთ-ს ასაკრეფად 2.9 წამი სჭირდება. შთამბეჭდავია მისი სიმძლავრე: 1115 ცხენის ძალა.

ერთი საინტერესო დეტალი: თუ მოვხსნით სიჩქარის შემზღუდავს, სიჩქარე 434 კმ/სთ-ს გაუტოლდება.



## Lambroghini Reventon

### 1,61 მლნ დოლარი

მწარმოებელმა 20 ერთეული გამოუშვა და ის 6.5-ლიტრიანი V12 ძრავით აღჭურვა. მაქსიმუმი, რაც ამ მანქანას შეუძლია, საათში 340 კილომეტრი სიჩქარის განვითარება და 100 კმ/სთ-ის 3.4 წამში აკრეფაა.

Reventon კომპანია "ლამბორგინის" ყველაზე ძვირადღირებული მოდელია ექსკლუზიური Veneno-ის შემდეგ (თუ არ ჩავთვლით 2.2-მილიონიან Sesto Elemento და 2.8-მილიონიან კონცეპტუალურ Aventador J-ს).



## Aston Martin One-77

### 1,8 მლნ დოლარი

ბრიტანული სუპერკარს გააჩნია 7.3-ლიტრიანი V12, რომლის სიმძლავრეა 750 ცხენის ძალა. მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 354 კილომეტრია, ხოლო 100 კმ/სთ-ს განვითარებას 3.4 წამი სჭირდება.



## Pagani Zonda Cinque Roadster

### 1,8 მლნ დოლარი

"ასტონ მარტინი" მეოთხე ადგილს იყოფს Zonda Cinque Roadster-თან.

რისი წყალობითაა ეს როდსტერი ასეთი ძვირი? მაგალითად, იმის გამო, რომ ნახშირწყალ-ტიტანის მასალით, რის გამოც მანქანა "მინი კუპერზე" მჩატეა (1210 კგ).

მანქანის ძრავაა 7.3-ლიტრიანი AMG V12 [illegible]78 ცხენის ძალის სიმძლავრით. მანქანა საათში 100 კილომეტრს 3.4 წამში კრეფს და მაქსიმალურ 349 კმ/სთ სიჩქარეს ანვითარებს.



## Bugatti Veyron Grand Sport Vitesse

### 2,6 მლნ დოლარი

ფრანგული ჰიპერკარი აღჭურვილია W16 ძრავით (7.9 ლიტრი და 1200 ცხენის ძალა). მას 2.7 წამი სჭირდება საათში 100 კილომეტრის განვითარებისთვის, მაქსიმალური სიჩქარე კი 408 კმ/სთ-ს უდრის. დღეისთვის, ყველაზე სწრაფი სერიული ავტომობილის ტიტულს ინარჩუნებს მისი "ძმა" - Bugatti Veyron Super Sport (2.4 მილიონი), რომლის სიჩქარეა 431 კმ/სთ.



## W Motors Lykan Hypersport

### 3,4 მლნ. დოლარი

2012 წელს, ლიბანში შეიქმნა კომპანია W Motors. არავის ეგონა, რომ სწორედ ის გამოუშვებდა მეორე ყველაზე ძვირ სერიულ სუპერკარს მსოფლიოში. Lykan Hypersport აღჭურვილია 6-ცილინდრიანი ტურბირებული ძრავით, რომლის მაქსიმალური სიჩქარეა 394 კმ/სთ და საათში 100 კილომეტრს 2.8 წამში ანვითარებს.

ავტომობილს აქვს დიოდური სანათები ალმაზის ზედაპირით, ოქროს ძაფებით შეკერილი ტყავის სავარძლები და ჰოლოგრაფიული ინტერფეისის დისპელი.



## Lamborghini Veneno

### 4 მლნ დოლარი

თავისი 50-წლიანი იუბილესთვის "ლამბორგინი" გამოუშვებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ავტომობილს - Lamborghini Veneno-ს. მისი დებიუტი ჟენევის 2013 წლის ავტოშოუზე შედგა. მანქანა აღჭურვილია 6.5-ლიტრიანი V12 ძრავით. სიმძლავრეა 750 ცხენის ძალა, მაქსიმალურ სიჩქარე 355 კმ/სთ, ხოლო ნულიდან საათში 100 კილომეტრს 2.8 წამი სჭირდება.

სერია სულ სამი ეკზემპლიარით შემოიფარგლება და სამივე უკვე გაყიდულია.

გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სამონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608